



მსოფლიო კოეზიის ბიბლიოთეკა

ამეხიჯელი პოეტები



ინგოგოურიდან თარგმნა

ზოთა იათაფვილვა



ედგარ ალან პო

ედგარ ლი მასტარსი

კარლ სენდგარგი

უოლეს სტივენსი

ედვარდ ესტლინგ კამინგსი

ლენგსტონ ჰიუზი

რობერტ პენ უორენი

რენდალ ჯარალი

გვენდოლინ ბრუკსი

დენის ლევერტოვი

სილვია პლათი

ალან გინსბერგი

ლორანს ფარლინგეტი

ამერიკული პოეზიის ეს ნიმუშები ძირითადად ნათარგმნია 1990-იან წლებში და მათი უმრავლესობა იმავე პერიოდში დაიბეჭდა ქართულ ლიტერატურულ პრესაში. მაგრამ როდესაც ამ თარგმანების ერთ კრებულად გამოცემამდე მიდგასაქმე, ტექსტებს უკან მივუბრუნდი და თარგმანების საკმაო ნაწილმა მნიშვნელოვანი რედაქცია განიცადა, ნაწილი კი ნიგნს გარეთ დარჩა. სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა თარგმანების შესახებ საყურადღებო რჩევები მომცეს ნატო ალხაზიშვილმა და ზურაბ ქარუმიძემ, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას ვუხდი.

მთარგმნელი

რედაქტორი გივი ალხაზიშვილი

ყდის დიზაინი გიორგი წერეთელი

მსოფლიო პოეზიის ბიბლიოთეკის
სარედაქციო საბჭო:

ბ. ალხაზიშვილი
ბ. გვერდნითელი
ზ. რატიანი

რამდენიმე სიტყვა ტელეგრაფის ქუჩიდან

მთარგმნელი, მით უმეტეს, პროფესიონალი მთარგმნელი, უკვე „არა ექსპერიმენტების პერიოდში“, ლოგიკურად ირჩევს მისთვის ახლობელ თემებსა და სახეებს. შოთა იათაშვილის მიერ ამერიკული პოეზიიდან ამოკრეფილი ლექსებიც და სახეებიც იმდენად ლოგიკურად და ორგანულად ეთანხმება თავად მთარგმნელის შემოქმედებას, რომ წინამდებარე ნაშრომი არ შეიძლება არ ჩაითვალოს წარმატებულად. ედგარ პოს ცნობილ „ნაბელის“ და ლენგსტონ ჰიუზის სწორი მუსიკით გადმოტანილ ბლუზებს თუ არ ჩავთვლით, მოცემული კრებული ამერიკული თავისუფალი ლექსის საუკეთესო ნიმუშების მშვენივრად გადმოქართულებული ვარიანტების კოლექციას წარმოადგენს. საუკეთესო ამერიკული თავისუფალი ლექსი კი ათასგვარია თავისი განსხვავებული თემებითა და ავტორებით: თუნდაც მოცემულ კრებულში წარმოდგენილი ედგარ ლი მასტერსის პოეზიად ნაქცევი საფლავის ეპიტაფიებით, კარლ სენდბერგის კოსმიური სოფლის სურათებით, სილვია პლათის ამბივალენტური ამბოხებებითა და ალენ გინსბერგის ეპოქალური „ყმულით“, რომელიც ამერიკული პოეზიის ქართულ თარგმანთა შორის თავისი სიახლითა და მნიშვნელობით, კრებულის უდიდეს წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ამის გამო კი განსაკუთრებულ ყურადღებასაც იმსახურებს.

* * *

დღევანდელ ბერკლიში, აშშ-ის ყველაზე უფრო რადიკალური და ლიბერალური იდეებით სავსე ადგილად ცნობილ საუნივერსიტეტო ქალაქში, ტელეგრაფის ქუჩა ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა, ფერად-ფერადი კანის, ენების და გემოვნების ტურ-

ისტებს რომ იზიდავს. საუკეთესო ნიგნის მალაზიების, თვალის-მომჭრელი ვიტრინებისა და დასავლურ-აღმოსავლური სამზარეულოების მაცდუნებელ პატიჟზე მეტად ამ ქუჩის პოპულარობას ის რამდენიმე „ანგელოზისთავიანი ჰიპსტერების“ შთამომავალი უფრო განსაზღვრავს, მარიხუანას კვამლითა და ძონძების გროვით გარშემორტყმული გულგრილად რომ გამოყურებს კეთილდღეობის ამერიკულ ზეიმს. ერთხელ პიცერიის კუთხეში დავანებულ გრძელთმიან მოხუცთან გასაუბრება ვცადე. ჰიპებზე რა იცით-მეთქი, ვკითხე. აქეთ მკითხა — საიდან ხარო. როცა ავუხსენი, სტალინის დაბადების თარიღი მითხრა და დააყოლა — „სოციალიზმს გაუმარჯოსო“. არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ თეოლოგიურადაც თუ ვიმსჯელებთ, სამოთხე ერთადერთი ადგილი უნდა იყოს, საიდანაც შეიძლება ჯოჯოხეთის გაიდვალება.

„ამერიკა, ამერიკა, მაინც რაში გჭირდება ამდენი ტვინი და სხეული... ინდიელები და ეგვიპტელები აშენებდნენ პირამიდებს ღმერთებთან სალაპარაკოდ. შენ საკუთარ თავს ელაპარაკები, ელაპარაკები, ელაპარაკები... ხომ იცი, რასაც ნიშნავს ასეთი ხანგრძლივი მონოლოგი...“ ჩემი რესპონდენტის მონოლოგი ამერიკის მონოლოგზე ცოტათი უფრო მოკლე თუ იყო და ჩემი საუბრის თემა კი ახლა აღენ გინსბერგის „ყმუილი“ და ამ პოემის შოთა იათაშვილისეული ქართული თარგმანია. ასე რომ, მე-2 მსოფლიო ომის ბოლოს აშშ-ის მიერ იაპონიაზე ჩამოყრილ ბომბებს, ცივ ომსა და 1950-იანი წლების ამერიკაში გამეფებულ ანტიკომუნისტურ ისტერიას, კორეის ომს, პურიტანული მსოფლმხედველობის მიერ მატერიალიზმის გიგანტური ქარხნის წარმატებით ამუშავებას, პარალელურად კი კოლუმბიის უნივერსიტეტში რომანტიზმით, ჯაზითა და ნარკოტიკებით გაჟღენთილ გამონაკლისთა, „ყველაფერზე ჩაფიქრებული“, „ყველაფრის დამნახველი“, „გათანგული“ და „გალენილი“ რამოდენიმე მეგობრის „დიადი მწერლობის“ სურვილს, ისევე როგორც ტერმინ „ბიტ“-ის გენეალოგიას — მკითხველისათვის ნაცნობ მასალად ჩავთვლი. ბიტ-თაობის შემდგომი ისტორია კი წარმოუდგენელია „ყმუილის“ გარეშე. უნივერსიტეტიდან გარიცხული და დასავლეთ სანაპიროზე ჩამოსუ-

ლი 29 წლის ებრაელის, კომუნისტისა და ჰომოსექსუალის — ალენ გინსბერგის მიერ 1954 წლის აგვისტოში ბერკლიში დაწერილი და 1955 წლის 7 ოქტომბერს სან-ფრანცისკოში, მეექვსე გალერეაში ნაკითხული პოემა მთელი ბიტ-თაობისა და ჰიპ-ეპოქის ჰიმნია.

მეექვსე გალერეაში „ყმუილის“ პირველი საჯარო კითხვის დღე ის თარიღია, რომლიდანაც „ბიტნიკების“ ვიწრო მეგობრულ-მაწრემ ქარბორბალასავით შემოიხვია, შემოიკრიბა და თან ნაიყოლა მთელი თაობა. კენეტ რექსროდის, სან-ფრანცისკოს ყველაზე უფრო რადიკალური ლიტერატურული წრის ცენტრალური ფიგურის თაოსნობით მეექვსე გალერეაში ექვსი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებითი საღამო შედგა. ჯექ კერუაკს ლექსები არ წაუკითხავს და მხოლოდ გინსბერგის გასამხნევებლად იყო მისული. „ყმუილის“ წამლექავემა ენამ, შემზარავმა მგრძნობელობამ, რეალიზმის ყველაზე უფრო ბინძური სანაგვეების სიღრმიდან გადმოღვრილმა ბლეიკის და უიტმენის რომანტიზმმა, ერთმანეთთან შეჯვარებულმა წამდვილმა ხელოვნებამ და ქუჩურმა ბილნსიტყვაობამ, ცხოვრების მექანიზმში გამოჩხერილი, დაქანცული, გაბრუებული სხეულის შიგნით სულის არსებობის რწმენის დაკარგვისა და ამ რწმენის დაბრუნების განწირული სურვილის ტკივილების კრუნჩხვამ იმ საღამოს მსმენელიც მოიცვა. აშკარა გახდა, რომ დაიწყო რაღაც ახალი, ძნელადდასაოკებელი და სახიფათო, სახელმწიფოსა და ახალგაზრდობის თვალი-თვალში გამყრელი.

„ყმუილამდე“ გინსბერგის არცერთი ნაწერი არ გამოქვეყნებულა. გინსბერგიც, კერუაკიც, კესიდიც, ბაროუზიც — პირველბიტნიკთა მთელი საძმო — ლიტერატურაში თავიანთი აკვიატებული „ახალი ხედვის“ დამკვიდრებისათვის ბრძოლაში „ხელმოცარულ გრაფომანებად“ რჩებოდნენ. როგორც გამოჩნდა, უილიამ კარლოს უილიამსის რეკომენდაციით შედარებით ლიბერალურ დასავლეთ სანაპიროს სწორად მოაკითხა გინსბერგმა. პოეტმა ლორენს ფერლინგეტიმ „ყმუილის“ მეორე საჯარო კითხვის შემდეგ დეპეშა გაუგზავნა გინსბერგს და პოემის გამოქვეყნება შესთავაზა. 1957 წელს, „ყმუილი და სხვა ლექსები“ გამოსვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ სასამართლოს განხილვის საგანი გახ-

და. მოსამართლემ კრებული „პორნოლიტერატურად“ გამოაცხადა და ამან კი გინსბერგს წიგნის ათიათასობით გაყიდული ეგზემპლარი და ათიათასობით თანამოაზრე მოუპოვა. „ბიტ-თაობაზე“, როგორც ახალ ფენომენზე, სწორედ ამ პროცესის შედეგად დაინყეს საუბარი. გაჩნდა სტატიები, დაიბეჭდა ინტერვიუები, დაიწყო „ბიტნიკების“ წიგნების გამოცემა, ლანძღვა და მაინც აღიარება.

დღეს, როცა ჰიპების, „ზურგჩანთების“, „სიყვარულის“ რევოლუციასზე ფიქრობ და თანამედროვე ამერიკის საშუალო კლასის მშვიდ, რაციონალურ, შრომისა და დასვენების ფასეულობათა პატივისმცემელ წარმატებულ ცხოვრებას ტელეგრაფის ქუჩაზე მობინადრე „უკანასკნელი ჰიპების“ ეგზოტიკურ ყოფას ადარებ, გახსენდება კერუაკის „გზად“, როგორც მწერლის მიერ საკუთარი დამარცხების ადრეულადვე აღიარება... მაგრამ როგორც ბაროუზი წერდა, „ისიც ეჭვგარეშეა, რომ ბიტ-თაობის ლიტერატურული მიმდინარეობის შემოჭრის შედეგად ამერიკა უფრო თავისუფალ ქვეყანად იქცა და რომ ეს მიმდინარეობა უდაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე ქვეყანაში მიმდინარე უფრო ფართო კულტურული და პოლიტიკური ცვლილებებისა“.

რაც შეეხება „ყმუილის“ მხატვრულ მხარეს, დღეს მის პოეტურ ფასეულობაში ეჭვის შეტანა ისეთივე უცნაურობად ჩაითვლება, როგორც თავის დროზე პოემის მთავარი გმირის, კარლ სოლომონის, დადაიზმის ლექტორების კარტოფილის სალათით მომსვრელი, შერეკილი სტუდენტის შედარება თავისი ტრაგიზმით ფოლკნერის კვენტინ კომპსონთან ან ჯოისის სტივენ დედალოსთან. ლიტერატურის სწავლულნი უკვე დიდი ხანია შეთანხმდნენ, რომ გინსბერგის პოეზია მეტია, ვიდრე ლოზუნგი; რომ მისი რიტმი და პათოსი აკადემიური, ამერიკული პოეზიის ტრადიციებზეც იმდენადვეა დაფუძნებული, რამდენადაც სიახლისმადიებელია.

1974 წელს, როცა აღენ გინსბერგს კრებულისათვის „ამერიკის დაცემა“ ეროვნული წიგნის პრემია მიენიჭა, მან განაცხადა, რომ

„არავითარი იმედი აღარ არის იმ ამერიკის გადარჩენისა, რომელზეც ჯექ კერუაკი და სხვა ბიტნიკები ოცნებობდნენ ათწლეულების წინათ. ერთადერთი, რის გადარჩენაზეც ახლა უნდა ვიფიქროთ, არის უზარმაზარი ცარიელი ჩუმი სივრცე ჩვენი ცნობიერებისა“.

ამ ცნობიერების ნაწილის ისტორიითა და პოეზიით ამოვსებას ჯერ კიდევ რომ ვცდილობთ, ამიტომაც ვკითხვობთ გინსბერგს და ამიტომაც გვითარგმნა შოთა იათაშვილმა ასეთი ზუსტი რიტმითა და განწყობით ეს ისტერიამდე აყვანილი მგრძნობელობითა და ქუჩის განმდინდასთან შერწყმის სურვილით სავსე პოემა. უმნიშვნელო შენიშვნები, რომელიც „ყმუილის“ ტიპის პოლიტიკური ტექსტის ქართულ თარგმანთან შედარებისას ჩნდება, ძირითადად საერთაშორისო ტერმინების გადმოტანას ეხება. მაგ: „listening to the Terror“ - თარგმანში იკითხება როგორც „საშინელებას აყურადებდა“, როცა „ტერორის ხმას აყურადებდა“ უფრო ზუსტი ეკვივალენტია; ან იგივე – „with big pacifist eyes“ – „მშვიდობისმოყვარედ მომზირალი ფართო თვალების“ ნაცვლად „პაციფისტი ფართო თვალებით“ შეიძლება გვეთარგმნა, ან კიდევ „robot apartments“ – „უსულგულო ბინების ნაცვლად“ „რობოტების ბინებად“ დაგვეტოვა. შეიძლება ტერმინების თარგმნა მოცემულ ტექსტში შოთა იათაშვილის მიერ ენებისადმი საკუთარი დამოკიდებულების მიზანდასახული გამოვლინებაა, რისთვისაც პატრიოტული თვალსაზრისით ნამდვილად იმსახურებს პატივისცემას.

თუმცა, აქვე უნდა ვაღიარო, რომ შოთა იათაშვილის თარგმანში დედნის რიტმისა და განწყობის უზადოდ შენარჩუნების ნყალობით, „ყმუილის“ ქართული ვარიანტი ზუსტად ისეთივე გამყინავია, როგორც „ყმუილი“ ინგლისურად.

გინსბერგის სხვა ლექსების თარგმანებიც, შესაბამისად, სტილით და ხედვით ორიგინალების ერთგულია. უიტმენის თემის გადამღერება კრებულში უიტმენის ნაკლებობას ვერ ავსებს, მაგრამ ძალზედ სიმბოლურია. ისიც სიმბოლურია, რომ უოლეს სტივენსიც, რომელიც თავად ამერიკულ პოეზიაში დღეს უკვე ახალ, აბსოლუტურად განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს, ქართველი

მკითხველის თვალსაწიერში ახლა შემოდის. შოთა ითაშვილის მიერ შექმნილ თავისეულ ანთოლოგიაში ჯარელიც, უორენიც, და კრებულში შესული ავტორებიდან ყველაზე გვიანდელი, თანამედროვე ამერიკელი პოეტი – ლორენს ფერლინგეტიც — მხოლოდ რამდენიმე, მაგრამ შეიძლება ითქვას საუკეთესო ლექსებითაა წარმორჩენილი. რაც შეეხება კრებულში წარმოდგენილ მკითხველისათვის უკვე ცნობილი პოეტების ახლებურად წარმორჩენას, უდაოა, რომ თარგმანში პოეზიის დანახვის გზების სიმრავლე ისეთივე სიმდიდრეა ენისათვის, როგორიც ვთქვათ, "შაშვის დანახვის ცამეტი გზა" — თავად პოეზიისათვის.

*ლელა სამნიაშვილი
ბერკლი, 02. .25. 04*

ედგარ ალან პო

ანაბელ ლი

ეს მოხდა ზღვის პირას, ერთ დიდ სამეფოში,
 დიდი ხნის, დიდი ხნის წინ,
 იქ ერთი ქალწული ცხოვრობდა, რომელსაც
 ეძახდნენ ანაბელ ლის;
 მას ისე ეუყვარდი, არას დაეძებდა,
 ოღონდ მყვარებოდა ის.

ყმაწვილი იყო და ყმაწვილი ვიყავი
 ზღვის პირას დიდი ხნის წინ,
 მაგრამ სიყვარულში სიყვარულს ვჯობნიდით
 ჩვენ — მე და ანაბელ ლი;
 და ამ სიყვარულის ერთხელაც შეშურდათ
 ფრთიან სერაფიმებს ცის.

ეს იყო მიზეზი იმისი, რაც მოხდა
 ზღვის პირას დიდი ხნის წინ,
 ქარმა დაიქროლა ღამით და მოჰგვარა
 ჟრჟოლა ჩემს ანაბელ ლის;
 წამიც, და ამაყი ხალხი მისი გვარის
 გაჩნდა და წამგვარეს მყის,
 წამგვარეს, ჩაკეტეს შაებნელ აკლდამაში
 დიდი ხნის, დიდი ხნის წინ.

ჩვენი აღმაფრენის რადგან ნახევარიც
 არ ეგრძნოთ ანგელოზთ ცის,
 ამიტომ მოხდა (ეს სუყველამ უწყოდა
 ზღვის პირას დიდი ხნის წინ),
 რომ ქარმა დაქროლა ცივი ღრუბლიდან და
 მომიკლა ანაბელ ლი.

მაგრამ ნებისმიერ ბრძენკაცზე ძლიერად
 ეგრძნობდით სიყვარულის ხიბლს —
 და არც ლაჟვარდებში მცხოვრებ ანგელოზებს,
 და არც ბოროტ სულებს წყლის,
 არ ჰქონდათ უნარი, განეყოთ სულები
 ჩემი და ანაბელ ლის: —

მას მერე სხივები მთვარის მახსენებენ
 ყოველთვის ანაბელ ლის;
 ვარსკვლავთა შუქი კი ფართო თვალებია
 მშვენიერ ანაბელ ლის;
 და ასე, ღამეში, ჩემს ძვირფას საცოლეს,
 სიცოცხლეს, სიყვარულს ცივს,
 ვუწევარ გვერდით მის შაუბნელ აკლდამაში —
 ეს მოხდა დიდი ხნის წინ.

ელგარ ლი მასტერსი

გორაკი

სად არიან ელმერი, ჰერმანი, ბერტი, ტომი და ჩარლი,
გულდედალა, კუნთა, ტაკიმასხარა, ლოთბაზარა, ჩხუბისთაყა?
ყველას, ყველას ძინავს გორაკზე.

ერთს ციებ-ცხელებამ მოუღო ბოლო,
მეორე ჩაიბუგა მაღაროში,
მესამე ჩხუბის დროს მიასიკვდილეს,
მეოთხეს ციხეში ამოხდა სული,
მეხუთე, ცოლისთვის და შვილებისთვის რომ ჯახირობდა,
ხიდიდან მოწყდა —
და ახლა ყველას ძინავს, ძინავს, ძინავს გორაკზე.

სად არიან ელა, კეტი, მეგი, ლიზი და ედიტი,
სათნო, მიამიტი, კისკისა, ამაყი, ბედნიერი?
ყველას, ყველას ძინავს გორაკზე.

ერთი გადაყვა უკანონო მშობიარობას,
მეორე სიყვარულს, უიმედოს და უპასუხოს,
მესამეს ვიღაც ვიგინდარამ საროსკიპოში გაუფრთხო სული,
მეოთხე მოკლა შელახულმა სიამაყემ და გულისსწორის
ძებნა-ლოდინმა,
მეხუთე ლონდონში და პარიზში ცხოვრების შემდეგ
ელამ, კეტიმ და მეგიმ აქეთ გადმოსვენეს —
და ახლა ყველას ძინავს, ძინავს, ძინავს გორაკზე.

სად არიან ძია აიზეკი და ბიცოლა ემილი,
და მოხუცი ტაუნი კინკეიდი და სვეინ ჰოუტონი,
და მაიორი უოლკერი, რომელიც
ღირსეულ ადამიანებთან რეკოლუციის ავ-კარგზე
მსჯელობდა?

ყველას, ყველას ძინავს გორაკზე.

იქ მიიყვანეს ოშში დაღუპული ვაჟიშვილები,
და ცხოვრებისგან გასრესილი ქალიშვილები,
და მათი მტირალა, ობოლი ბავშვები —
და ახლა ყველას ძინავს, ძინავს, ძინავს გორაკზე.

სად არის მოხუცი მევიოლინე ჯონსი,
ოთხმოცდაათი წელი ცხოვრებასთან თამაშში რომ გაატარა,
მამაცურად რომ უხვედრებდა გაღეღილ მკერდს თოვლსა და
წვიმას,
გამობრუყული, შფოთისთავი, დამვიწყებელი ცოლის, ოჯახის,
ოქრო-ვერცხლის, სიყვარულის, ცის?
შეხედეთ, იგი ლაყბობს და იხსენებს გარდასულ სუფრებს,
და იმას, თუ ლინკოლნმა რა თქვა
ერთხელ სპრინგფილდში.

ბენჟამინ პანტიერი

ამ საფლაუში ერთად წვანან იურისტი ბენჟამინ პანტიერი და ძალღი ნიგი, მისი ერთგული მეგობარი, თანამგზავრი და ნუგეშისმცემელი.

მტვრიანი შარავზის გავლით ქალები, კაცები, ბავშვები და მეგობრები

მიდიოდნენ ამ ცხოვრებიდან, სანამ მარტო ნიგი არ დამრჩა თანამეინახედ, ხმის გამცემად და ახლობელად.

გარიჟრაჟზე ცხოვრებისა პათიემოყვრული ზრახვები მქონდა. ხოლო შემდეგ მან, ჩემზე დღგრძელმა, გამოამწყვდია უცებ ჩემი სული ხაფანგში

და სასიკვდილო აღმოჩნდა იგი.

და მეც, ოდესაღაც შეუპოვარი, მოუტყდი და დავიწყე უნდელი ცხოვრება

ნიგთან ერთად ჩემი ბინძური კანტორის უკან, მომცრო სენაკში. ჩემი ყბის ძვალთან ნიგს ძვლადქცეული თავისი დრუნჩი ჩამოუდია —

ჩვენი ამბავი დუმილმა შთანთქა. შლგო სამყარო, ჩამომეხსენი!

მისის ბენჟამინ კანტიერი

მე ვიცი, ის ლაპარაკობდა, რომ მე ხაფანგში გამოვამწყვდიე
 მისი სული

და ეს ხაფანგი სასიკვდილო აღმოჩნდა მისთვის.

მამაკაცებს იგი უყვარდათ

და ქალები თანაუგრძობდნენ.

მაგრამ, აბა წარმოიდგინეთ, რომ ბრძანდებით დახვეწილი
 ქალბატონი,

ვერ იტანთ ვისკის და ხახვის სუნს

და მაშინ, როცა თქვენს ყურში ნაზად უორდესვორთის ოდები
 ჟღერენ,

ის დილიდან საღამომდე დაყიალობს და

„ო, რადაა ასე ამაყი მოკვდავი სული“

და მსგავს ვულგარულ სიმღერებს მღერის.

და გარდა ამისა წარმოიდგინეთ,

რომ ბრძანდებით კეთილშობილი ქალბატონი,

და ერთდერთი მამაკაცი, რომელთანაც კანონი და ზნეობრიობა

ცოლ-ქმრული კავშირის უფლებას გაძლევთ,

ზიზღის გრძნობას იწვევს თქვენში

ყოველთვის, როცა კი მასზე ფიქრობთ — მასზე ფიქრი კი,

როცა მას ხედავთ, სულ მუდამ გიწვეთ

აი, რატომ გავაგდე იგი სახლიდან და

ისიც ცხოვრობდა ძაღლთან ერთად თავისი ბინძური

კანტორის უკან,

მომცრო სენაკში.

კარლ სენდბერგი

ბალახი

დაახვავეთ სხეულები ვატერლოოსთან, აუსტერლიცთან,
ჩაფლეთ მიწაში და მაცადეთ, რომ ვიმუშაო —
მე ბალახი ვარ; მე ამქვეყნად ყველაფერს ვფარავ.

და დაახვავეთ სხეულები გეტისბურგთანაც,
დაახვავეთ იპრთან, ვერდენთან,
ჩაფლეთ მიწაში და ნება დამრთეთ, რომ ვიმუშაო.
ორი წელი, ათი წელი, და მგზავრები დაუსვამენ კითხვას
კონდუქტორს:

„სადა ვართ ახლა?
რა ადგილია?“

მე ბალახი ვარ.
დამაცადეთ, რომ ვიმუშაო.

ველური ვაშლის ყვავილის ფურცლები

ვილაცის გოგონა — რა იოლია მოიგონო ცრემლიანი ისტორია იმაზე, თუ როგორი იყო იგი ოდესღაც და ამჟამად როგორი არის.

ვილაცის გოგონა — იგი ოდესღაც, ივნისის თვეში, ერთობოდა თამაშით ველური ვაშლის ხის ძირში, და ეფრქვეოდა ყვავილის ფურცლები კუპრივით თმაზე.

ეს იყო სადღაც, რკინიგზის ხაზთან, ეროში, ანდა, შეიძლება სულაც სადგურ სალამანკასთან, პონტედ-პოსტთან ანდა პორსტ-ჰელსთან.

ის თმებიდან იბერტყავდა ყვავილის ფურცლებს, და შერბოდა სახლში და დედა მას ბანდა სახეს, და დედას თავი სტკიოდა მისი ჯიუტი ხმისგან, „არ მინდას“ რომ იმეორებდა.

ვილაცის გოგონა — ვილაცის ორმოცი გოგონა თხელ წითელ ტრიკოში, თაღებად, ნაღებად, პირამიდებად რომ ლაგდებიან, — ორმოცი შიშველფეხება გოგონა, შოუს გოგონა.

რა იოლია მოიგონო ცრემლიანი ისტორია იმაზე, თუ როგორი იყო იგი ოდესღაც და ამჟამად როგორი არის — და ივნისში კუპრივით თმებზე ყვავილის ფურცლები სტკიოდა როგორ.

დაე სინათლე ბროდვეიზე ათინათებს აფრქვევდეს ირგვლოვ — და ტაქსები გზას მიიკვლევდნენ ხალხის მასაში, მაშინ, როცა შოუ დამთავრდა და ქუჩაში ბნელდება უკვე.

დაე სახიდან საღებავები მოიშორონ გოგონებმა და შუალამის სენდვიჩს შეექცნენ, დაე დილაამდე ხედავდნენ სიზმრებს, დილის გაზეთის და მერძევის ურიკის მერეც.

და დაე დიდხანს ესიზმრებოდეთ ის, რაც მათ უნდათ... ივნისი... სადღაც რკინიგზის ხაზთან... ველური ვაშლი... ყვავილების თეთრი ფურცლები...

ბავშვური სათამაშოები

არის ცისფერი ვარსკვლავი, ჯენეტ,
იქამდე თხუთმეტი წლის საუაღია,
საათში ასი მილის სიჩქარით თუკი ვიქროლებთ.

და არის თეთრი ვარსკვლავი, ჯენეტ,
იქამდე ორმოცი წლის საუაღია,
საათში ასი მილის სიჩქარით თუკი ვიქროლებთ.

თქვი, რომელი ვარსკვლავისაკენ
წავიდეთ ერთად —
ცისფერისკენ თუ თეთრისაკენ?

ვარსკვლავები, სიმღერები, სახეები

შეაგროვე ვარსკვლავები, თუკი ეს გინდა,
შეაგროვე სიმღერები, დაიჭი ხელში.
შეაგროვე სახეები ქალბატონების.
შეაგროვე, რათა წლიდან წლამდე გეკავოს.

შემდეგ კი...

შემდეგ გაშალე ხელები, გაუშეი და უთხარ:
„მშვიდობით!“

დაე წავიდნენ სიმღერები და ვარსკვლავები.
დაე წავიდნენ სახეები და წელიწადები.
გაშალე ხელები და თქვი: „მშვიდობით!“

ქუდები

ქუდებო, მითხარით, ვის ეკუთვნით,
ვინ არის თქვენს ქვეშ?

კათამბჯენის შუბლიდან მე გადავიხარე
და დავიხედე ქვევით: ქუდები, ორმოცდაათი ათასი ქუდი,
მოზუზუნენი როგორც ფუტკრები, აბლავლებულნი როგორც
ბატკნები,

მოგრუხუნენი ჩანჩქერებივით,
გარინდულნი, როგორც შტილში ზღვის ბალახი,
ან თაუთაეები უქარობაში.

ქუდებო, გამანდეთ საიდუმლო თქვენი ფიქრები!

პერანგი

ჩემი პერანგი — უფრო მეტად ნიშანი და სიმბოლო არის,
ვიდრე შზისგან და წვიმისგან თავის დაცვის საშუალება.
ჩემი პერანგი — სულის ნიშანი
და სიგნალია.

მე შემეძლია გავიხადო პერანგი და დავხიო იგი
საშინელი ხმაურით
და ხალხი იტყვის:
„შეხედეთ, მან დახია პერანგი“.

მე შემეძლია, რომ პერანგი არ გავიხადო.
შემეძლია ამ პერანგში ვისეირნო და როგორც ჩიტმა, ისე
ვუსტვინო;

და მშვიდად ეუყურო თვალებში ყველას.
მე შემეძლია, რომ პერანგი არ გავიხადო.

ღამის ნიუ-იორკი

ღამით, როდესაც ზღვის ქარები საკუთარ მკლავებში იმწყვდევენ
 ქალაქს,
 და სიგრილვა ქუჩებში, რომელთაც ჩაიმარხეს გულში მტკრიანი
 შუადღე და ღღე, ასეთი ხმაურიანი;
 ღამით, როდესაც ზღვის ფრინველები სინათლეებს ქალაქისას
 გასძახიან ჟოვილ-ხივილით,
 იმ სინათლეებს, ჰორიზონტზე რომ ერწყმიან ამ ქალაქის
 სახელწოდებას;
 ღამით, როდესაც შორეთიდან მატარებლები იძვრიან აქეთ,
 ვინაიდან ნიუ-იორკელებს არ შეუძლიათ პურის გარეშე და
 არა სურთ არსებობა უწერილებოდ, —
 ღამით ქალაქი კვლავაც ცხოვრობს — ოღონდ ცოტა
 სხვანაირად, ვიდრე დღისით და
 ღამით მღერიან სიმღერებს და ცეკვებს ცეკვავენ,
 მატროსები და ჯარისკაცები კი ეძებენ ერთი სახლის
 საჭირო ნომერს.
 ღამით ზღვის ქარები საკუთარ მკლავებში იმწყვდევენ ქალაქს.

ლუქსი

მოქმეგზავრები ექსარეს-ლუქსით, ერთ-ერთი იმ მატარებლით, ჩვენს
 ეროვნულ სიამაყეს რომ წარმოადგენს.
 ცისფერ ნისლში, შებინდებულზე, პრერიას კვეთს თხუთმეტი
 ფოლადით შეჯგუშნული ვაგონი, რომლებშიც
 შეყუჟულა ათასი მგზავრი
 (ყველა ვაგონი ჯართადა და ჟანგად იქცევა და ყველა კაცი
 და ყველა ქალი, მოცინარი კუპებსა თუ რესტორანში,
 იქცევა ფერფლად).
 მე ვეკითხები ჩემს მეზობელს, თუ საითკენ გაუწევიან, და ის
 მპასუხობს: „ომაჰასაკენ“.

მკვლევები

დღეს ქალაქში ყველაზე მეტად მე მაღიღებენ.

მე ვარ მკვლელი, რომელიც კლავს მათი სახელით,
ვისაც დღეს მკვლელობა მოწყურებია.

აი, ძლიერი ახალგაზრდა, რომელმაც მოკლა.

ქალაქის მტერიანი ქარი ცხენის ფუნას ფანტავდა, ის კიდევ
იდგა წყლის ხუთი არხის გადაკვეთაზე, და ზედიზედ
ახლიდა ტყვიებს ავტომატიდან ადამიანს,
თანაქალაქელს.

ამიტომაც პროკურორებმა და ნაფიცმა მსაჯულებმა, მისმა
თანაქალაქელებმა, მოისმინეს რა ჩვენებები ამ ქალაქის
სხვა მაცხოვრებლების, პოლიციელთა და ექიმთა,
მიიჩნიეს დამნაშავედ იგი და თანამოქალაქე-
მოსამართლემ ბრძანა: „მე თქვენ სასიკვდილო განაჩენი,
ჩამოხრჩობით, გამოგიტანეთ“.

და აი, მოკლავენ მკვლელს, და დღეს მე ვარ მკვლელის მკვლელი.
არ ვიცი, თუში რად მიტრიალებს სტრიქონები ძველისძველი
სკოლის წიგნიდან: „მე გაუხდები მაისის დედოფალი,
დედა, მე გაუხდები მაისის დედოფალი“.

დღეს მე მკვლელი ვარ, თანაც ფრიად პატივცემული.

შტატში ხუთი მილიონი ადამიანია, ხუთი მილიონი მკვლელია,
რომელთა სახელითაც ვკლავ ადამიანს.

მე მკვლელი ვარ, რომელიც მკვლელობის მსურველი ხუთი
მილიონი მკვლელის სახელით მკვლელობას სჩადის.

სამ-სამი

ბავშვობაში სამი წითელი სიტყვა შესმოდა:
თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა — ქუჩებში
ათასობით ფრანგი კვდებოდა ამ სიტყვებისთვის, — და მე ვიკითხე,
ადამიანები რატომ კვდებიან სიტყვებისათვის.

მე გავიზარდე და ულვაშა, ბაკებიანი მამაკაცები
მეუბნებოდნენ, რომ ოქროსავეით სამი სიტყვა —
დედა, ოჯახი და ზეცაა, ხოლო სხვები, სერიოზული
გამომეტყველებით,
და უფრო მეტად ასაკოვანნი, ამბობდნენ: ღმერთი,
მოვალეობა და უკვდავება, —
ამბობდნენ გაბმით და ღრმად სუნთქავდნენ.

ადამიანთა ბედისწერების დიდ საათზე გადიოდა წლები წიკწიკში.
უზარმაზარ რუსეთში უცებ მეტეოროვით გაკრთა სამი
პირქუში სიტყვა,
და მუშები იარაღით ხელში წავიდნენ,
რათა პურისთვის, მშვიდობისთვის და მიწისთვის
ბრძოლის ველზე დაცემულიყვნენ.

ერთხელ კი ენახე ამერიკის ფლოტილიის მეზღვაური,
მუხლზე ესვა პორტს შეჩვეული ერთი გოგონა,
და აი, რას ეუბნებოდა: „უნდა შვეებლოს მხოლოდ სამად სამი
სიტყვის თქმა: მომეცით ლორი,
ერბოკვერცხი, —
და რა კიდევ? — სიყვარული კიდევ სულ ცოტა,
ჩემო კუდრაჭა!“

უოლეს სტივენსი

შაშვის ცამეტნაირი ხედვა

I.

დათოულილი ოცი მთის ფონზე
ერთადერთი, რაც მოძრაობდა,
იყო შაშვის მბზინავი თვალი.

II.

სამნაირად ვფიქრობდი და
ვგაუდი იმ ხეს,
რომელზედაც ზის სამი შაშვი.

III.

შემოდგომის ქარებმა შაშვი დააბზრიალეს,
ეს პანტომიმის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო.

IV.

კაცი და ქალი
არიან ერთი.
კაცი და ქალი და შუი შაშვი
არიან ერთი.

V.

მე არ ვიცი, რა ვამჯობინო,
ბგერების მოდულაციათა,
თუ ნაგულისხმევ მნიშვნელობათა მშვენიერება.
შაშვის სტვენა თუ
ის, რაც მას მოსდევს.

VI.

ველური შუშებით ამოავსეს
 ლოლუებმა მთელი ფანჯარა.
 აქეთ-იქიდან შაშვის ჩრდილი
 კრთებოდა და ფანჯარას კვეთდა.
 განწყობილება
 თან სდევდა ამ ჩრდილს
 იდუმალი მიზეზის მსგავსად.

VII.

ო, ჰადამის ხმელ-ხმელო ბრძენო,
 რაში გჭირდებათ წარმოსახვითი ოქროს ჩიტები?
 ნუთუ მართლა ვერ ამჩნევთ, როგორ
 დაგოგმანებენ შავი შაშვები
 თქვენი ქალების ფეხების ირგვლივ?

VIII.

მე ჟღერადი და გარდაუვალი რითმები ვიცი
 და უამრავი კეთილხმოვანი ინტონაცია,
 და მე ასევე ვიცი,
 რომ შაშვი
 ჩართულია ამ ყველაფერში.

IX.

როცა შაშვი გაუჩინარდა,
 მრავალი თვალსაწიერიდან
 მოინიშნა ერთი მათგანი.

X.

მწვანე შუქში მიმქროლავი
 შაშვების ხილვა
 ჟღერადობის როსკიპებსაც კი
 გამგმირავად დააწივლებდა.

XI.

იგი მგზავრობდა მინის კარუტით.
კონექტიკუტის გაელთ ელო გზა.
მძაფრმა შიშმა
განმსჭვალა უცებ.
ეკიპაჟის ჩრდილი ეჩვენა
შაშვების გუნდად.

XII.

მიედინება მდინარე, შაშვმა
უნდა იფრინოს.

XIII.

დამდებოდა მთელი შუადღე.
თოვლა და
თოვლი გადაღებას არც აპირებდა.
ხოლო შაშვი
კედარზე იჯდა.

ედვარდ ესტლინ კამინგსი

* * *

არ თანაუგრძნო ამ საქმოსან მონსტრს, კაცარობრიობას.

პროგრესი კომფორტული სნეულებაა:

შენი მსხვერპლი (სიკვდილისა და სიცოცხლისაგან
უსაფრთხოდ გამიჯნული)

თამაშობს თავისი სიპატარავის სიდიადით

— ელექტრონები აღმერთებენ ერთ სამართებელს
მთათა მწკროვში; ლინზები გაზრდიან

არწადილს სად-და-როდის-ში გაღუნვით სანამ არწადილი
ართვითში არ დაბრუნდება.

დამზადებულისა სამყარო

არაა დაბადებულისა სამყარო — თანაუგრძნე
საცოდაჲ პირუტყვს

და ხეებს, საცოდაჲ ვარსკვლავებს და ქვებს, მაგრამ არასოდეს
ამ პიპერმაგიური ულტრაყოლისშემძლეობის

ნიმუშს. ჩვენ, ექიმებმა, ვიცით ეს

უიმედო შემთხვევა, რამეთუ — ისმინე: კარგი სამყაროს
ჯოჯოხეთია გვერდითა კარს მიღმა; დავიძრათ

ლენგსტონ ჰიუმი

პროლოგი

ვარ ზანგი:

შაეი, ისე, როგორც ყომრალი ღამე,
შაეი, როგორც უღრანები ჩემი აფრიკის.

ვიყავი მონა:

კიბეს ვხვეტი კეისრის ზღურბლთან
და ვაშინგტონს ვუწმენდდი ჩექმებს.

ვიყავი მუშა:

ჩემი ხელებით შენდებოდა პირამიდები
და ვულვორსის ცათამბჯენისთვის კირს ვხსნიდი წყალში

ვიყავი პოეტი-მომღერალი:

აფრიკიდან ჯორჯიამდე შორეულ გზაზე
სუედიანი სიმღერები ვატარე თან და
რეგთაიმიც თავად ამოუთქევი.

ვიყავი მსხვერპლი:

კონგოში ორივე მკლავი მომჭრეს ბელგიელებმა,
ახლა კი ტუხასში ლინჩის წესით მასამართლებენ.

ვარ ზანგი:

შაეი, ისე, როგორც ყომრალი ღამე.
შაეი, როგორც უღრანები ჩემი აფრიკის.

შავი პიერო

შავი პიერო ვარ:

მას არ ვუყვარვარ,
და მე ღამეში შევიპარე
და ღამე იყო ჩემსავით შავი.

შავი პიერო ვარ:

მას არ ვუყვარვარ,
და მე ეტიროდი, სანამ რიჟრაჟი
აღმოსაელეთით გორაკებს სისხლად არ დაქვეთა
და სისხლისაგან იცლებოდა ეს ჩემი გულიც.

შავი პიერო ვარ:

მას არ ვუყვარვარ,
და დაჩუტულ ბუშტს დამსგავსებული,
მხიარული ოდესღაც სულით,
დილაადრიან გზას გაუდღეი
ახალი მუქი სიყვარულის მოსანახავად.

ოცნებები

ოცნებებს მოეჭიდე მტკიცეს —
როცა ოცნებები კვდება,
ცხოვრება ფრთამოტეხილ ჩიტს ჰგავს,
რომ არ შეუძლია ფრენა.

ოცნებებს მოეჭიდე მტკიცედ —
როცა ოცნებები მიდის,
ცხოვრება უნაყოფო ველს ჰგავს,
დამზრალს თოვლითა და ყინვით

ჰარლემის ღამის სიმღერა

მოდი,
ერთად ვიხეტივლოთ ღამეში და
ვიმღეროთ ერთად.

მე შენ მიყვარხარ.

მიღმა
ჰარლემის სახურავების,
ანათებს მთვარე.
ღამის ზეცა ლურჯია და
ვარსკვლავები უზარმაზარი წვეთებია
ოქროს ცვარ-ნამის.
კაბარეში კი
ჯაზ-ბენდი უკრავს.

მე შენ მიყვარხარ.

მოდი,
ერთად ვიხეტივლოთ ღამეში და
ვიმღეროთ ერთად.

ოცნებების შემნახველი

მანდეთ თქვენი ოცნებები,
მეოცნებენო.
მანდეთ თქვენი გულის ტკბილი
მელოდიები.
მე მათ ცისფერ ღრუბლებს მოვახვევ,
რომ სამყარო ტლანქი თითებით
მათ არ შეეხო.

თვითმკვლელობა

ჩემმა ოქრობიჭმა თავისი
 ბარგი მოხიკა და დამტოვა.
 ჩემმა ოქრობიჭმა თავისი
 ბარგი მოხიკა და დამტოვა.
 თავის მოკვლას ვფიქრობ, რაკილა
 არვის ვუყვარვარ და მართო ვარ.

წავალ, ჩემთვის დანას ვიყიდი,
 მტკაველიანსა და ბასრზე ბასრს.
 წავალ, ჩემთვის დანას ვიყიდი,
 მტკაველიანსა და ბასრზე ბასრს.
 მუცელს გაუიფატრაჲ, ან სულაც
 მას ვთხოვ, ყალთაბანდს და ასე თარსს.

ანდა მდინარეში ჩაუხტები,
 სიღრმით ოთხმოცდაცხრა ფუტია.
 ანდა მდინარეში ჩაუხტები,
 სიღრმით ოთხმოცდაცხრა ფუტია.
 რომ მის ფსკერზე შესძლოს იძინოს
 გოგომ — ღარიბმა და ბუტიამ.

ხელიდან წასული კაცი

ხელიდან წასული კაცი ვარ,
 ყველა მეუბნება ამას.
 ხელიდან წასული კაცი ვარ,
 ყველა მეუბნება ამას.
 ყველგან ჩემს სიგლახეს დაუათრევ,
 არყის ბოთლთან ერთად, თანაც.

ცემა-ტყევაში მყავს ცოლი და
 თავ-პირს საყვარელსაც ვამტკრევ.
 ცემა-ტყევაში მყავს ცოლი და
 თავ-პირს საყვარელსაც ვამტკრევ.
 რატომ, კი ვერ ვხვდები და ყველას
 ვუღრენ, დღე არის თუ ღამე.

ისე წასული ვარ ხელიდან,
 არც მსურს კარგი ბიჭი გავხდე.
 სულმთლად წასული ვარ ხელიდან,
 და არც მსურს კარგი ბიჭი გავხდე.
 ეშმაკს სული უნდა მიეყიდო,
 უნდა საბოლოოდ წავხდე.

ნოსტალგიური ბლუზი

რკინიგზის ხიდის
 სიმღერის სევდა.
 რკინიგზის ხიდის
 სიმღერის სევდა.
 მატარებლების გადავლისას
 მუდამ სადღაც გავიქცე მინდა.

სადგურისაკენ ვეშვები დაბლა,
 ენა ამოსთქვამს ჩემს გულის ნადებს.
 სადგურისაკენ ვეშვები დაბლა,
 ენა ამოსთქვამს ჩემს გულის ნადებს.
 როცა ვუყურებ ვაგონს, რომელიც
 სამხრეთისაკენ წამიყვანს მალე.

ნოსტალგიური ბლუზი, ო, ღმერთო,
 ყველაზე უფრო საშინლად მტანჯავს.
 ნოსტალგიური ბლუზი, ო, ღმერთო,
 ყველაზე უფრო საშინლად მტანჯავს.
 მაგრამ მე მაინც ცრემლს ვიშრობ თვალებზე,
 კრიჭას ვიხსნი და ვიცინი ლალად.

ჯიბეგაფხეკილი ბიჭის ბლუზი

სანამ სამშობლოში ვცხოვრობდი,
 ოქროს სხივებს მფენდა შზე.
 სანამ სამშობლოში ვცხოვრობდი,
 ოქროს სხივებს მფენდა შზე.
 მერე ჩრდილოეთში წავედი,
 ფუი, რატომ ვქენი ეს!

ყოჩალი ბიჭი რომ ვიყავი,
 და რომ არ ვცდებოდი სულ,
 ყოჩალი ბიჭი რომ ვიყავი,
 და რომ არ ვცდებოდი სულ,
 მერე გზებმა ისე მომქანცა,
 ძლივას მივათრევდი სულს.

და ერთ გოგოს გადაუყვარე,
 თავი შემაყვარა მან.
 და ერთ გოგოს გადაუყვარე,
 თავი შემაყვარა მან.
 ფული სულმთლად მიმაფლანგინა,
 ტვინიც ამიბნია თან.

ახლა, დილით თვალს რომ გაუახულ,
 უკვე დაღლილობას ვგრძნობ,
 არაქათი არ მაქვს სრულებით,
 ისეთ დაღლილობას ვგრძნობ,
 ნეტა რატომ გაეჩნდი ამქვეყნად —
 ჩემთვის სულ ამაზე ვბჭობ.

ყმაწვილი ქალის ბლუზი

სასაფლაომდე გაყვები
ჩემს დაქალ მის კორა ლის.
სასაფლაომდე გაყვები
ჩემს დაქალ მის კორა ლის,
რადგან მინდა, როცა მოგკედები,
მეც ვინმემ მიმაცილოს იქ.

თავის გამოფხეკილ ქოხმახში
ვნახავ ჩემს დეიდა კლუს.
თავის გამოფხეკილ ქოხმახში
ვნახავ ჩემს დეიდა კლუს.
მეც რომ მოხუცდები, ვიდაცა
მნახავს, გამიხარებს გულს.

ქოხი მარტოობით სავსეა,
საფლაუში კი ცივა, ქრის.
ქოხი მარტოობით სავსეა,
საფლაუში კი ცივა, ქრის.
მიჯობს მოგკედე, ვიდრე ჩამოგხმე,
ბებოდ ვიქცე ასი წლის.

სიყვარულმა თუ მიატოვა,
ყმაწვილქალმა რაღა ქნას?
სიყვარულმა თუ მიატოვა,
ყმაწვილქალმა რაღა ქნას?
ეი, ტრფობის ცეცხლს ნუ მომაკლებთ,
თორემ გადაყვები დარდს.

ჰამროვანი ბლუზი საღამოთი

ადექი, ჩრდილოეთში წავედი,
 მითხრეს, კარგიაო იქ.
 ჰოდა, მეც ჩრდილოეთში წავედი,
 მითხრეს, კარგიაო იქ.
 და რაც იქ ვარ, ვედარ ვეშვები
 ათას ოხრობაზე ფიქრს.

თუკი მომშოვდება — საუზმედ
 დილის ჰაერს ვყლაპავ გრილს.
 თუკი მომშოვდება — საუზმედ
 დილის ჰაერს ვყლაპავ გრილს.
 მოსაღამოვდება, მივირთმევ
 იმავე ჰაერს ვახშმად ცივს.

მერე ცოტას კიდევ ვიცეკვებ,
 რადგან გაეხალისდე, მსურს.
 მერე ცოტას კიდევ ვიცეკვებ,
 რადგან გაეხალისდე, მსურს.
 როცა ვცეკვავ, ჭირზე არ ვფიქრობ,
 რიტმებს ვუგდებ მხოლოდ ყურს.

და თუ მაინც შემეკითხებით,
 ეს ცხოვრება თუ რას გაეს,
 და თუ მაინც შემეკითხებით,
 ეს ცხოვრება თუ რას გაეს —
 გეტყვით კითხვა რაში გჭირდებათ,
 შემხედეთ და ნახეთ, ჰა!

ზავსულის ღამე

პარლემის
 ღამის ხმაურები
 მოწვეთავენ სიმყუდროეში.
 უკანასკნელი პიანინო დახურულია.
 უკანასკნელმა მუსიკალურმა ავტომატმაც დაასრულა
 „ჯაზ ბოი ბლუზი“.
 უკანასკნელმა მჩხაენა ბავშვმაც ჩათვლიმა და
 ვით გულისფეთქვა,
 ისე ჩუმი მოვიდა ღამე.
 მე დაეძრწივარ
 ამ ყიამეთში და ვერ ვჩერდები.
 უილაჯო ვარ, ისე, როგორც დაღლილი ღამე,
 ვით მდუმარება,
 სული ჩემი ცარიელია
 გაურკვეველი,
 მტკივნეული სიცარიელით,
 ყინით,
 წადილით, ვიღაცის თუ
 რაღაცის ფლობის.

მე დაეძრწივარ ამ ყიამეთში
 და ვერ ვჩერდები,
 სანამ ახალი გარიჟრაჟი,
 მქრქალი და მკრთალი,
 ეზოებში თუთრ ნისლებად
 არ ჩამოწვება.

სიცოცხლე მშვენიერია

მდინარისაკენ დავეშვი,
ჩამოვისვენე იქვე,
ფიქრიც კი ვერ შევძელი და
წყალში ვისკუბე მყისვე.

ამოყვინთუ და ვიყვირე,
ერთხელ, მეორედ... წყალი
ცოვი რომ არ ყოფილიყო,
აქ ვიწვებოდი მკვდარი.

*მაგრამ ო,
ისე ციოდა,
ისე ციოდა იქ, რომ...*

ლიფტში ჩაუჯექი, თქვესმეტი
სართული დარჩა ქვევით.
ბაეშებზე დავიწყე ფიქრი და
ლამის ძირს წაველ ფრენით.

ვიდექი, სული კიოდა,
ვიდექი, სული თართოდა,
გადმოუხტებოდი, რომ დაბლა
ვყოფილიყავი ოდნავ.

*მაგრამ ო,
მაღლა ვიყავი,
მაღლა ვიყავი ისე...*

შეიძლებოდა მოეკალ
სიყვარულს, მაგრამ რაკი

სიცოცხლისათვის ვიშვი, მეც
 დღემდე ცოცხალი დავრჩი.

გაიგებ, როგორ ვიღმუველებ,
 როგორ ვიტირებ, ნახავ —
 მაგრამ ვერ მნახავ მკვდარს ჩემო
 ტკბილო პატარავ, რადგან

*სიცოცხლე მშვენიერია,
 ვით ღვინო მშვენიერია,
 მშვენიერია მართლა!*

მეზღვაური

მოშორებული სახლს და სამყაროს,
 იჯდა გემბანზე, მიირწეოდა,
 სიგარეტ „კემპსტენს“ აბოლებდა და
 ქაფიან ტალღებს მისჩერებოდა.

ფართო გულმკერდზე ღუზა ეკიდა,
 მკლავზე ფერია ესვა შიშველი,
 ბეჭზე კი ბუდე მოესვირინგა
 და იმ ბუდეში ღურჯი ფრინველი.

საილენკის საფურთხებლები

ბიჭი, გაწმინდე საფურთხებლები.

დეტროიტში,
ჩიკაგოში,
ატლანტიკ-სიტიში,
პალმ-ბიჩში

გაწმინდე საფურთხებლები.

სამზარეულოს ოხშივარი სასტუმროებში,
თამბაქოს კვამლი სასტუმროების ვესტიბიულებში
და სისველე სასტუმროების საფურთხებლების
ნაწილია ჩემი ცხოვრების.

ბიჭი! აჰა, შენ
ხუთცენტიანი,
ათცენტიანი,
დოლარიანი,

მოთელი ორი დოლარი დღეში.

ბიჭი! აჰა, შენ
ხუთცენტიანი,
ათცენტიანი,
დოლარიანი,
ორი დოლარი

და იყიდე ბავშვისათვის ფეხსაცმელები,
გადაიხადე ბინის ქირა,
დალიე ჯინი,

ეკლესიას შეეწირე კვირადღეს და
ო, ღმერთო!

ბავშვები, ქალები და
კვირადღე და ეკლესია
არეულია ცენტებთან და დოლარებთან და
გადასახადის ქვითრებთან და
გაკრიალებულ საფურთხებლებთან.

ეი, ბიჭი!

უფლისადმი მირთმეული ძღვენი არის მშვენიერი
სპილენძის თასი!

მეფე დავითის მოცეკვავეთა დაფდაფების და
სოლომონის აზარფეშების

მსგავსად ბზინავს ყოველი მხრიდან.

ეი, ბიჭი!

გაწმენდილი საფურთხებელი მიიტანე საკურთხეველთან.

ეს ლაპლაპა და კრიალა საფურთხებელი, —
ბოლოს და ბოლოს მისი მსხვერპლად შეწირვა ხომ
მაინც ძალმიძს, მერე კი ისევ:

ეი, ბიჭი! აქეთ! და დროზე!

აბრეშუმის წითელი წინდები

ჩაიცვი აბრეშუმის წითელი წინდები,

შავო გოგონა!

გაისეირნე გარეთ და თუთრ ბიჭს

დაანახე შენი კანკები.

შენ ისეთი მშვენიერი ხარ,

არაფერია საშენო საქმე

მთელ ამ ქალაქში.

ჰოდა, ჩაიცვი აბრეშუმის წითელი წინდები

და ხვალ ერთი

პატარა მულატი დაიბადება.

გადი, შავო გოგონა, გარეთ და ერთ თუთრ ბიჭს

დაანახე შენი კანკები.

ბალადა ოზი პაუელზე¹

ალაბამას გზა წითელია,
 ოზი პაუელ,
 შენს სისხლზე უფრო წითელია,
 ოზი პაუელ.

ჩარაზულია მტკიცედ კარი,
 ოზი პაუელ,
 შერიფი გიშვებს სიძულვილით,
 ოზი პაუელ.

და ისერის, რათა მოკლას
 ზანგი ოზი პაუელ,
 ეს კუკლუქსკლანის კანონია,
 ოზი პაუელ.

ვაშინგტონელი ცხრა მოხუცი²,
 ოზი პაუელ,
 არასდროს ნახავს მის იარაღს,
 ოზი პაუელ.

1. ლექსი დაკავშირებულია 30-იანი წლების გახმაურებულ სასამართლო პროცესთან. 1931 წელს ქ. სკოტსბოროში (ალაბამას შტატი) ცხრა უმუშევარი ზანგი (მათ შორის ოზი პაუელი) უსაფუძვლოდ დადანაშაულებს ორი თეთრკანიანი ქალის გაუპატიურებაში. მათგან რეას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, ხოლო მეცხრეს — 14 წლის ყმანეილს, სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. ფართოდ გაშლილმა საპროტესტო მოძრაობამ მართლმსაჯულება აიძულა შეეცვალა განაჩენი. 1935 წელს ოთხი მათგანი გაათავისუფლეს, თუმც უკანასკნელმა პატიმარმა მხოლოდ 1950 წელს დატოვა სატუსალო. მოგვიანებით ერთ-ერთმა მთავარმა მონემ აღიარა, რომ მთელი საქმე გაყალბებული იყო.

2. ვაშინგტონელი ცხრა მოხუცი — აშშ-ს უმაღლესი სასამართლოს წევრები.

და ბრძენზე ბრძენი ცხრა მოხუცი,
ოზი პაუელ,
არასდროს ნახავს თვალებს მისას,
ოზი პაუელ.

თუმც კი ცხრა ზანგმა კარგად იცის,
ოზი პაუელ,
რას ნიშნავს, იყო ჯოჯოხეთში,
ოზი პაუელ.

ეს სატანური კანონია,
ოზი პაუელ,
თეთრ შერიფს სურს, რომ მოკლას
ზანგი ოზი პაუელ.

ალაბამას გზა წითელია,
ოზი პაუელ,
შენს სისხლზე უფრო წითელია,
ოზი პაუელ!

ბილეთი ცალ მხარეს

ჩემი ცხოვრება თან დაეიმგზავრე,
 მასთან ერთად ვიარე,
 ჩამოვსვი ჩიკაგოში, დეტროიტში,
 ბუფალოში, სკრანტონში,
 ყველგან,
 ჩრდილოეთში თუ აღმოსავლეთში,
 ოღონდ სამხრეთში არა.

ჩემი ცხოვრება მატარებელზე შევსვი,
 რომელიც მიდიოდა
 ლოს-ანჯელესში, ბეკერსფილდში,
 სიეტლში, ოკლენდში, სოლტ-ლეიკში,
 ყველგან,
 ჩრდილოეთში თუ დასავლეთში,
 ოღონდ სამხრეთში არა.

მე ყელამდე ვარ ჯიმ ქროუს კანონებით³,
 ყელამდე ვარ ულმობელი და
 მშიშარა ადამიანებით,
 რომლებიც ღინჩის წესით გასამართლებენ და
 გარბიან,
 რომლებიც ფრთხებიან შენს დანახვაზე,
 შენ კი მათ უფრთხი.

მე ჩემს ცხოვრებას
 ბილეთი ავუღე
 ცალ მხარეს და
 გაუშვი იგი ჩრდილოეთში,
 დასავლეთში,
 შორს!

3. ჯიმ ქროუ ჟარგონზე ზანგს ნიშნავს, ხოლო ჯიმ ქროუს კანონები — კანონებს, რომლებიც ზანგებსა და თეთრებს შორის რასობრივ უთანასწორობას ამკვიდრებენ.

დედა და ქალიშვილი

დედი, გარეთ უნდა გავიდე,
იქნებ გამიწმინდო პალტო.

შვილო, მითხარ, საით მიდიხარ?

ჩემი ბიჭი უნდა ვნახო.

შემობრუნდი, ზურგი გაგწმინდო,
და ეგ ვინლა არის, თქვი.

ჩემი სატრფო არის, დედი, და
სიყვარულით მიბნევს ტვინს.

შვილო, ერთი წუთი მაცადე,
კარგად გაგიფერთხავ მკლავს —
მე რომ შენი მამა მიყვარდა,
ტრფობა დღეს შენ ისე გკლავს.

მაგრამ მამაშენი ერთხელაც,
ადგა და გაუდგა გზას —
ო, ის ძაღლის ლეკვი იქნება
უკვე ჯოჯოხეთში ყარს.

დედი, რაღა დროის ლეკვია,
ალბათ ბებრეკ მოხუცს ჰგავს.

პო, ის გუშინ იყო ჭაბუკი,
პო, ის გუშინ იყო — ზურგს
თუკი მომიბრუნებ ერთხელაც, კარგად
გაგიწმინდავ ქურქს.

DANSE AFRICAINE⁴

ტამტამების მწველი ცემა,
 ტამტამების ნელი ცემა,
 მწველი... ნელი
 ნელი... მწველი —
 გიდულს სისხლი.

ცეკვა!

გოგო ღამის ჩადრით
 ნაზად ბრუნავს
 განათებულ წრეში
 ბრუნავს ლამაზად და... ნაზად,
 მსგავსი ცეცხლის თავზე კვამლის ფთილის —
 და ცემაზე ტამტამების,
 და ცემაზე ტამტამების,
 მწველ ცემაზე ტამტამების
 გიდულს სისხლი.

ჯონი

წვედი ჯოის სანახაუად,
 წერწეტა ჯოის სანახაუად,
 მოცეკვავე ჯოის სანახაუად,
 მოლიმარი ჯოის სანახაუად —
 და ვნახე,
 ყასაბი ბიჭის მხარდამხარ
 მიაგორებდა ურიკას ყასბის!
 მშვენიერი, მშვენიერი კამპანია ჰყავს
 ამ ახალგაზრდა ნიმფას — ჩვენს ჯოის!

⁴ DANSE AFRICAINE — (ფრ.) აფრიკული ცეკვა.

ზანგი გომონა

შენ გავხარ თბილსა და ბნელ მიმწუხრს
 შუა ივნისში,
 ნაადრევი იები როცა
 თითქმის უკვე არავის ახსოვს
 და ვარდები ყვავიან წითლად.

შენ გავხარ თბილსა და ბნელ მიმწუხრს
 შუა ივნისში,
 ზაფხულის ცხელ ღამეებს სანამ
 ვარსკვლავების გუნდი თუთრად ააგიზგიზებს.

აკრილის ფიგურის სიმღერა

წვიმამ დაგკოცნოს.
 წვიმამ ზურგზე გიტყაპუნოს ვერცხლის წვეთები.
 იაუნანა გიმღეროს წვიმამ.

წვიმა ტროტუარს გუბეებს ამწნევს.
 წვიმა გუბეებს ამოდრავებს არხებში და
 წვიმა ღამით სახურავზე ძილისპირულს გვიკრავს ისე —
 რომ მიყვარს წვიმა.

კანის შერი

ატარე
 ამაყად
 როგორც ალაში,
 და არა როგორც სუდარა ხამი.
 ატარე
 როგორც მოლივლივე
 სიმღერა ცაში,
 და არა როგორც ჭმუნვა-ოხვრა და ვაი-ვიში.

ჩემი ხალხი

მშვენიერია ღამე,
 ვით სახეები ჩემი ხალხისა.

მშვენიერია ვარსკვლავები,
 ვით თვალები ჩემი ხალხისა.

მშვენიერია, როგორც შზის შუქი,
 მშვენიერია, როგორც სული ჩემი ხალხისა.

ქაილოგი

მეც ხომ ვმღერივარ ამერიკაზე.

მე მუქი ძმა ვარ.
როცა სტუმრები მოდიან ხოლმე,
მაშინათვე თავს მიკრავენ საკუჭნაოში.
მაგრამ მე მაინც ვიციანი გულით,
ვილუკმები მადიანად და
მემატება ძალა და ღონე.

ხვალ
როცა ისევ მოვლენ სტუმრები,
მე დაეჯდები მაგიდასთან და
უკვე ვერაუინ გაბედაუს
მითხრას,
„წადი, ჭამე საკუჭნაოში“.
გარდა ამისა

უცებ ისინი
დინახავენ რა ლამაზი ვარ
და შერცხვებათ —

ამერიკა ხომ მეცა ვარ, ყველასთან ერთად.

რობერტ პენ უორენი

გამრავლების ტაბულა

საშობაო ნაძვისხე როკფელერ-ცენტრში
 მილიონჯერ დიდი რომ იყოს და
 სიბნელეში წამოაქციო,
 ღმერთის წელამღე სიმაღლისა და კლდოვანი მთების
 სიმძიმის მქონე
 საგორავი გადაატარო, და გაათხელო ქალღმერთით, ოღონდ
 ისე, რომ
 ამ წყვეული ფერად-ფერადი ნათურებიდან ერთიც არ გატყდეს
 და ისინი ყიამეთში კვლავაც ბრწყინაუნენ, მაშინ იქნება
 ზუსტი სურათი, თუმც

შუქებს მიღმა წყვილია, ზამთრის ღამეს კი
 კონი-აილენდში მე ვიდექი პირსის ბოლოს, იმ დროს, როდესაც
 ფუტურო წკვარამი ნაგაზივით გაემუოდა (არ იყო ქარი)
 და შორს, ქვემოთ, დაძრწოდა სინათლე,
 რომელიც გაუდა პოლისმენის ჯიბის ფარნის შუქს
 და ანათებდა — ასე ჩანდა — დაკეტილი მალაზიების
 ფასადებს და
 მერე ჩაქრა მოულოდნელად. ვარსკვლავები კი ქათქათა და
 მომცრო იყო
 და მე მესმოდა, ზღვა მალულად როგორ წოვდა ნაჭდევებს
 პირსის,
 თითქოსდა ვინმე ბებრუხუნა იწუნწინდა ძილის წინ ღრძილებს.

DC-8 ყვინთავს და იმ წამსვე

ჩემს გვერდით მჯდომი ადამიანი მკაფიოდ იწყებს

გამრავლების ტაბულის კაკვლას.

ხოლო შორს, ქვემოთ,

ნერვიული დაბოლოებებივით პულსირებენ ცალკეული
სინათლეები.

იქ, დაბლა, მე მყავს მეგობრები — თითოეული მათგანის
ცხოვრება

უცნაური ფორმისაა —

ისინი გვანან კვერცხებს, გათხაპნილს სამზარეულოს

იატაკზე, ისინი ბზინავენ

ვით მუქ წყალში ზეთის ლაქები. და მე ვფიქრობ, რომ ისინი
მიყვარს.

ტელეფონი ხომ სადღაც, ოთახში, წკრიალებს ჯერაც.

რენდალ ჯარელი

მზრინავ-არტილერიისტის სიკვდილი

დედისეული ძილბურანიდან უცებ მოუხვდი სახელმწიფოში,
და მის მუცელში მოვიკაკვე, სველი სამოსი სანამ
სულმთლად არ გამეყინა.

დედამიწას და სიცოცხლეზე მის ტკბილ სიზმრებს ექვსი
მილით დაშორებულმა

გამოვიღვიძე ჯოჯოხეთურ საზენიტო ცეცხლში და როცა
მოკედი, შლანგით გადამრეცხეს ტყვიამფრქვევის
ზედაპირიდან.

გვენდოლინ ბრუკსი

ცერცვისმჭამელი

ცერცვის ჭამაა ამ გაყვითლებული ორი მოხუცის მთავარი საქმე.
ერთი და იგივე კერძი სადილზე დღეგამოშვებით.
ავეჯი უბრალო — მორყეულია და ჭრიალებს.
ზედაც უბრალო ნივთები ადევს.

არიან ორნი — საესე სიკეთითი.
არიან ორნი — წუთისოფელი განვლილი აქვს ორფეს უკვე.
ტანისამოსს კი მაინც ყოველდღე ირგებენ ტანზე,
ოთახს ალაგებენ

და იხსენებენ...

იხსენებენ ტკივილით, ტანჯვით,
ნაქირავებ მომცრო ოთახში ცეცვის მარცვლებზე თავდახრილები,
და ოთახი სავსეა ჩერებით, რეცეპტებით და თოჯინებით,
დაწყვეტილი მძივებით და მაქმანებით და ლარნაკებით და
თამბაქოს მტვერით.

დენის ლევერტოვი

მარტოობა

უსინათლო. მე შემძლია მას ვუშვირო
 მორიდებით, ანდა უტიფრად, გრძნობს ის ამას?
 არა, იგი ჩაძირულა განუზომელ მარტოობაში.

უცნაური გართობაა,
 დაჟინებით მიაშტერდე უცნობის სახეს.
 მაგრამ რაც უფრო დიდხანს უყურებ, გწყურია მეტი.

ის კი, საკუთარ სამყაროში ჩაძირული, ლაპარაკობს
 თითქმის ხმამაღლა. ტუჩები უთრთის.
 ზედ შეშფოთების ატყვია კვალი. ნერვულ ღიმილში

უცებ რაღაც სიხარულის მსგავსი უკრთება.
 ნელი სიო (მას მე ვერა ვგრძნობ)
 როგორც წყალს, ისე უჭავლებს სახეს.

მატარებელი ცენტრისკენ მიდის. სადგურებზე ჩერდება და
 ცოტა ხანში ისევე იძვრის. ამ მოჟღერიალზე და მორაჩხუნე
 მოუსვენრობის გულმუცელში კი სიმყუდროვე გამეფებულა —

სიმყუდროვე მდუმარე ხალხის.
 უსინათლოს უყურებს ზოგი,
 ოღონდაც ჩვენგან განსხვავებით, შიგადაშიგ და სხვათაშორის.

ამ სიმყუდროვის შიგნით კი მისი
 უჩვეულო სიმყუდროვია — სავსე მშფოთვარე
 წარმოსახვებით, მაგრამ ვინ იცის, როგორია

უსინათლოს წარმოსახვები? მას არ ადარდებს
 უცნაური გარეგნობა — ის, რომ მის სახეს,
 ისე, როგორც წყალს ათინათი,

ამჩნევია ფიქრების კვალი. მან ხომ არ იცის,
 თუ რა არის გარეგნობა.
 დაბადებიდან ბრმაა იგი, მე ამას ვხედავ.

და ის ახლა ფეხზე დგება და კართან მიდის,
 იცის, რომ შემდეგ გაჩერებაზე უნდა ჩაუიღეს, ითვლიდა ვითომ?
 არა, თვლა სულაც არ სჭირდება მას ამისათვის.

ის ჩადის და მეც ჩამოვდეთარ.
 „ნება მიბოძეთ, გაგიყვანოთ გასასვლელისკენ“.
 „გმადლობთ“ — მპასუხობს რაღაცნაირი განურჩევლობით.

მაგრამ იმ წამსვე, როგორც კი მისი
 ეს ხმა მესმის, ჩემსკენ იშვერს
 იგი ხელს და მელოდება,

და აი ჩვენ უკვე ბავშვებივით ერთიმეორეს ჩავკიდეთ ხელი.
 ხელი თბილი და მშრალი აქვს და
 ღონივრად მიჭერს — შეგრძნებაა სასიამოვნო.

და როდესაც ტურნიკეტის გავლით გავდეთართ
 (ის წინ მიდის), მისი ხელი, ჩემსას წამით დაშორებული,
 მაშინათვე კვლავ მას დაეძებს.

„აქედან უკვე საფეხურები იწყება, ფრთხილად...
 ახლა მარჯვენისკენ მოუხვიეთ. აქ კი ისევ კიბეებია“.
 და შზის გულზე გავედით უკვე. ის გრძნობს ამას,

გრძნობს სუფთა ჰაერს. „კარგი დღეა, არა?“
 ამბობს უსინათლო და მარტობა
 მოაბიჯებს ჩემთან ერთად, მოაბიჯებს

ჩემს გვერდით, ოღონდ არა ჩემში — მარტოდ
 აგრძელებს ის თავის ფიქრებს, თუმც კი მისი და ჩემი ხელი
 შეერწყნენ ერთურთს,

ისე, თითქოს ჩემი ხელი მომშორდა და
 საკუთარი გზა აქვს. მე ვხედავ,
 ის კვეთს ქუჩას, და უსინათლო

მეუბნება, რომ აწი უკვე შეუძლია გზის გაგნება. მან იცის
 საით მიემშურება: გაურკვეველი არსებებით
 დასახლებული არსაითისკენ. ის ამბობს: „მე ვარ“.

სილვია პლატი

ტიტები

ღიზიანდებიან ტიტები უცებ, აქ ზამთარია.

შეხედე, ირგვლოვ რა თეთრია ყველაფერი, რა მშვიდია, რა
დათოვლილი.

მე ვსწავლობ აღუშფოთველობას, მშვიდად ვწევარ,
თითქოსდა ვიყო

სინათლის სხივი, გაწოლილი ამ თეთრ კედლებზე, ამ ხელებზე
და ამ საწოლზე.

ვარ არავინ და ვნებები მე არ მაწუხებს.

მომვლელ ქალებს ჩაებაბარე ჩემი სახელი და ჩემი კაბა,
ხოლო ანესთეზიოლოგს — ბიოგრაფია, ისე, როგორც
ქირურგებს ტანი.

მათ ჩემი თავი ბალიშსა და ზეწარს შორის მოათავსეს,
და ის ორ თეთრ ქუთუთოს შორის დაჭყეტილ თვალს გავს.
შეშლილი გუგა იმახსოვრებს სუყველაფერს.

მომვლელი ქალები დადიან ისე, არ მირღვევენ
სიმყუდროვეს,

გახამებულ ჩაჩებში მფრინავე თოლიებს გვანან.

მათი ხელები დაუსრულებლად საქმიანობენ,
ყოველი ქმედება მეორეს გავს და რიცხვი ამ ქმედებათა
უსასრულოა.

ჩემი სხეული კენჭია მათთვის. ისე, როგორც ლოლიაყით
ზღვის ტალღები ევლებიან კენჭებს, ისე, თავს მევლებიან მე
ისინი.

ნემსებით მოაქვთ სიცივე ჩემთან და მოაქვთ ძილი.
მე დაუკარგე საკუთარი თავი ახლა, მე აუად ვარ ამ ბარგისაგან —
ტყავის ჩანთა, წამლების შავი ყუთის მსგავსი,
ქმარი და შვილი, მოღიმარნი საოჯახო ფოტოსურათზე;
მათი ღიმილი — პაწაწინა მოღიმარი კაუჭები — მესობა კანში.

მე მიუშვი ყველაფერი თავის ნებაზე, ჩემს სახელსა და
მისამართზე

მდგარი ოცდაათწლიანი სატვირთო გემი.
ყველა ლამაზი ფანტაზია გამოიხვეტა ჩემგან, დამფრთხალი
და შიშველი, პლასტიკატის მწვანე, მგორავი საკაცედან
მოჩერებოდი ჩემს ჩაის სერვისს, კომოდს და წიგნებს.
ისინი ხედვის არედან გაქრნენ, წყალმა დამფარა,
და ახლა უკვე მონაზონი ვარ, და არასდროს არ ვყოფილვარ
ასეთი წმინდა.

არ მჭირდებოდა ყვაილები. მე მსურდა მხოლოდ,
ერთიანად დაცლილი და თავქვეშ ხელებამოწყობილი
ვწოლილიყავი.

ო, რა კარგია, როცა ფიქრები არ გაწუხებენ —
სიმშვიდე, ასე უზარმაზარი, ეუფლება მთელს შენს არსებას,
არ გისვამს კითხვებს, ფირფიტა შენი გვარ-სახელით,
სამშვენისები —

ეს ისაა, სადამდეც მიდიან საბოლოოდ მიცვალებულნი;
ისინი თითქოს

ზიარებას იღებენ და იკუმება მათი პირები.

ტიტები ისე უსაშველოდ წითულია, მაყენებს ტკივილს.
მე ვიგრძენი მათი სუნთქვა შესაფუთი ქაღალდის მიღმაც,
და მიღმა ამ თუთრი საფენებისა, დაემსგავსნენ ისინი ჭინჭყლ
ბავშვს.

მათი ბრდღეიალი ჭრილობებს მიხსნის.

პირბასრები თითქოს სადღაც მიცურავენ, მე კი მძირავენ, მოულოდნელი მათი ენა და ფერები სიმშვიდეს მიმღერვს, და ტყვიის დუჟინი საძირაჟი მეზვევა ყელზე.

აქამდე არავინ მითვალთვალედა, მაგრამ ახლა
მითვალთვალევენ.

მომაჩერდნენ ტიტები და ჩემს ზურგს უკან ფანჯარაა, საღაც ყოველდღე შეუმჩნეველად მატულობს და კლებულობს შუქი.

მე ჩემს თავს ვხედავ, უსიცოცხლოს და უმნიშვნელოს, მზის
თვალსა და

ტიტების თვალებს შორის მოქცეულ ქაღალდის აჩრდილს. მე არ მაქვს სახე, მაქვს სურვილი განექარდე და წავიშალო. და ჩემს წილ ჟანგბადს მოხასხასე ტიტები ნთქავენ.

ჰაერი, მათ გამოჩენამდე, იყო იმდენად სუფთა და გრილი, თავისუფლად ვსუნთქავდი, მაგრამ, უცებ ტიტებმა ყურისწამლები გრუხუნით პირთამდე გადააესეს აქაურობა. და მათ ირგვლივ დატრიალდა ჰაერი ისე, როგორც მორევი მდინარეში ჩაძირული დაჟანგული ძრავის ირგვლივ
ტრიალებს ხოლმე.

ამან მიიპყრო მთელი ჩემი ყურადღება. მათ ლალ თამაშს და სიმსუბუქეს ოდნაჟი კვალიც კი არ აჩნდა ხელოვნურობის.

და კედლებიც თითქოს უცებ აფორიაქდნენ.

ტიტები, საშიში მხეცების მსგავსად დასამწყვდევეები
ხდებიან, ისინი

იხსნებიან და უზარმაზარი აფრიკული კატების ხახებს
ემსგავსებიან.

მე ჩემს გულს ვუსმენ: ის იხსნება და იხურება,

სიყვარულისგან დაცლილი და მეწამული ყვავილებით საესე
ლარნაკი.

გემოს უსინჯაუ წყალს, ის ზღვასავეთ თბილია და მარილიანი,
და ისეთი სიშორიდან მოტანილია, რამსიშორუხეც მე დავცილდი
ჩემს სიჯანსაღეს.

ზამთრის ხეები

ნოტიო დაისის მელნის ლურჯი ფერი ზავდება.

ნისლის საშრობზე ხეები გვანან

მცენარეთა ანაბეჭდებს.

მეხსიერება ფართოდ იშლება, და ხსოვნაში

ჯკრისწერათა მთელი წყებაა.

მათ არ იციან აბორტები და მეძაობა,

ქალებს ჯობნიან,

იმტვერებიან უწვალებლად!

ქარებს გემოს უსინჯავენ, ფეხები არ აქვთ

გარდასულში წელამდე ჩაფლულთ.

ფრთებით საესეა სულ სხვა სამყარო.

ყოველი მათგანი აქ ლედა არის.

ო, დედაო, ფოთლების და სიტკბოებისა,

ეს ღვთისმოსავი მოტირალნი ვინ არიან, რატომ არ მეტყვი?

გალობენ ჩრდილები მტრედთა, მაგრამ ვერაფერს ვერ

ამსუბუქებენ.

დილის სიმღერა

სიყვარულმა დაგქოქა, როგორც ჯიბის სქელი ოქროს
საათი.

ბებიქალმა ფეხისგულებზე მოგიტყაპუნა ხელი და შენმა
თაყბედურმა წამოყვირებამ
თაყისი ადგილი დაიკავა სტიქიებს შორის.

ჩვენი ხმები ერთმანეთს აკყვავს და მიესალმა შენს
მობრძანებას. ახალ ქანდაკს.

სიშიშველემ შენმა, ორპირქარიან მუხუშუმში გადაჩრდილა
ჩვენი სიმტკიცე. და ირგვლივ ყველა კედლებივით
დაყვუდებულვართ.

მე ისევე ვარ დედაშენი, როგორც ღრუბელი, თანდათან
რომ ისარკება და ირეკლავს
ქართვან მოგვრილ საკუთარ ნელ გაცამტვერებას.

შენი სუნთქვა — ფარვანას სუნთქვა, მთელი ღამე
ოთახის ვარდებს შორის ფარფატებს. მე ვიღვიძებ და
ვაყურადებ:

და ჩემს სმენას შორეული ზღვის ღელვა სწვდება.

მხოლოდ ერთი წამოყვირება, და მოვბობღავ ლოგინიდან,
ვიქტორიანულ ღამის პერანგში, ძროხასავეით ძონძროხა და
ყვავილოვანი.

კნუტით კრიალა შენი პირი დაბჩენილია. ფანჯრის ჩარჩო

თეთრდება და ვარსკვლავებს ყლაპავს. და შენ ახლა
შენს ერთ მუჭა ბგერებს სწავლობ.

და ხმოვნები ბუშტებივით იბერებიან.

კუდიანი კოცონზე

მათ დაახვედრებს ფიჩხი ბაზრის მოედანზე.
ჩრდილების ტვერი ვერაფერი საფარველია. ჩემს
ცივლის ფორმაში — თოჯინურ ტანში შეესახლდი. აქ
სწეულება იწყება და სამიზნე ვარ კუდიანთათვის.
ემმას მხოლოდ ემმა გამოჭამს.
ავღივარ ცეცხლის სარეცელზე მწწამული ფოთლების თვეში.

ბნელს ბრალი დასდო, იოლია: სარდაფის სტომაქი
და კარის პირი, დაფენილი — მათ ჩააქრეს ხვითო ჩემში.
ხოჭოსფრთიან ქალბატონს ვყავარ დამწყვედული გალიაში
თუთიყუშების.

რა დაჭყეტილი თვლები აქვთ მკედრებს!
დაბანჯგვლული სული სულიერ სიახლოვეს ამჟღავნებს
ჩემთან.

ცარიელი დოქის ცხვირიდან ამოდის კვამლი.

ციდა თუ ვარ, ვერაფერს ვერ ვტკენ.
თუ არ ვიძერი, ვერაფერს ვერჩი — ამას ვამბობ, როცა
ვზივარ
მიბნედილი ქუთუთოებით, პაწია და უძრავი, როგორც მარცვალი
ბრინჯის.

ისინი ფიჩხს ცეცხლს უკეთებენ, ერთი წყება მეორეს მოსდევს.
სახამებელში ვართ თავიდან ფეხებამდე. ჩემი პატარა,
თუთრი საძმო.

ჩვენ ვიზრდებით თავიდან ეს მტკივნეულია.
წითელმა ენებმა ჭეშმარიტება გვასწავლონ უნდა.

ხოჭოთა დედაც, შენ ოღონდაც გახსენი მუშტი:
შეუტრუსავი ფარვანასავით გადავიფრენ სანთლების პირზე.

დამაბრუნე ჩემს ფორმაში და მზადა ვარ განემარტო დღენი.
 ავილუფებ მტვერში, ქვის ჩრდილს შეფარებული.
 ტანზე შედება ცეცხლის ნათება კოჭებიდან თქმობამდე.
 ვილუპები, ვილუპები სამოსელში მთელი ამ შუქის.

ყაყაჩოები ოქტომბერში

ამ დღით კაბებს ვერც მზის შუქით საესე ღრუბლები
 დასძლევენ და
 ვერც ქალი სასწრაფო დახმარების მანქანაში,
 წითელი გული ხალათზე რომ აუყვავდა გამაოგნებლად —

ძღვენი, ძღვენი სიყვარულისა,
 თავისთავადი, ზეცისგან არ
 გამოთხოვილი —

უფერულად და ცეცხლოვნად
 ნახშირორქანგს რომ უშვებს, თვალები
 შლაპების ქვეშ რომ ჩაუცხრია, ჩაუმალია.

ო, ღმერთო ჩემო, მითხარი, ვინ ვარ,
 თუკი უნდა გაპკიოდნენ ნაგვიანვეი ეს პირები
 ყინვის ტყეში, აისზე ლურჯი ღილილოების.

მიუნხენური მანექანები

სრულყოფილება საზარელია, ვერ აჩენს შეილებს.
ცოცხალი, როგორც თოვლის სუნთქვა, იმ საშოს იცობს

სად ჰიდრებოვით ირხვეიან ურთხლის ხეები,
ხოლო ხეები სიცოცხლისა თავის მთვარეებს

თვეში ერთხელ უშედგოდ ბორკილებს ხსნიან.
სისხლის ნაკადი ნაკადია სიყვარულისა,

აბსოლუტური მსხვერპლშეწირვაა.
და ეს ნიშნავს: არავითარი კერპი ჩემს გარდა,

მხოლოდ მე და შენ.
გოგირდოვანი მიწიდანველობით და ღიმილებით

მანექანები გაშეშებას თავს აღწევენ ღამლამობით,
რომს და პარიზს შორის მორგში — მიუნხენში —

შიშვლები და მელოტები თავ-თავიანთ ბეწვეულებში,
ნარინჯისფერი მამალოები, აცმულები ვერცხლის ჯოხებზე,

აუტანლები, უაზროები.
ბნელ ფანტელებად მოდის თოვლი,

სიახლოვეს არაყინაა. სასტუმროებში
კარს შეაღებს არა ერთი და ორი ხელი

და ფეხსაცმელებს დააღაგებს საპრიალეებლად, —
რომ ჩაეკვებონ ხვალ შიგ სქელი ფეხის თითები.

ო, ამ ფანჯრების ოჯახური სიმყუდროვე, —
ჩვილი ბავშვების მაქმანები, ტკბილეულობა,

და სქელ-სქელი გერმანელები ყვინთავენ თავიანთ უფსკერო
Stolz-ში.

და შავ-შავი დაკიდული ტელეფონები

ბრწყინავენ,
ბრწყინავენ და ინელებენ

მდუმარებას. თოვლს ხმა არა აქვს...

ფყლის გადაკვეთისას

შავი ტბა, ასევე შავი ნავი, ორი შავი სილუეტი ადამიანის.
საიდან მოდიან შავი ხეები, რათა დარწყულდნენ?
მათი ჩრდილები კანადაშია გადასული.

წყალმცენარეთგან ცრის მცირე შუქი.
არ გვაჩქარებენ ფოთლები მათი:
მრგვალნი არიან, ბრტყელნი არიან და საუსენი ბნელი რჩევებით.

ნიჩბისაგან თრთიან ცივი სამყაროები.
სიშავის სული ჩვენში არის, არის თევზებში.
ტივტივებს ხის ტოტი, გვემშვიდობება, მკრთალია ხელი;

ვარსკვლავები ინთებიან შროშანებს შორის.
ხომ არ დაგვსეს თვალები ასე უექსპრესიო სირინოზებმა?
სიჩუმეა ეს, განცვიფრებული სულებისგან გამოცემული.

ჭრილობა

სიუზან ო'ნილ როის

რა საზარია —
ჩემი ცერი ხახვის მაგურად.
თავი თითქმის წაცლილია,
მხოლოდ კანის

ერთი ნაფლეთი
ქუდის ფარფლივით —
მკედარივით თეთრი,
და კიდევ ეს წითელი პლუში.

პაწაწინა პილიგრიმო,
სკალპი აგხადა ინდიელმა.
ინდაურის ჩიჩახვი კი
პირდაპირ გულიდან

გაფენილა ხალიჩასავით.
მე ვარდისფერი შუშხუნით საესე
ბოთლით ხელში
მასზე ვდგები.

ზეიმიან.
ამ პრობელიდან
მილიონობით ჯარისკაცი სადღაც გარბის.
ყველა წითელშინელიანი.

ვის მხარეზე არიან ეს ჯარისკაცები?
ო ჩემო,
ჩემო ჰომუნკულუსო, მე აუადა ვარ.
აბი მივიღე, რათა მოგკლა

ქალღმადის მჭლე
ემოციები.
დივერსანტო,
კამიკაძე —

კუ კლუქს კლანის
თავსაბურავზე
ლაქა
მუქდება და იზინტლება, და როდესაც

შენი გულის
მელოტი შიგთავსი
წინ აღუდგება მდუმარების
თავისსავე პატარა წისქვილს,

როგორ ხტუნავ —
ვეტერანო თავის ქალის ტრეპანაციით,
ბინძურო გოგო,
მოჭრილო ცერო.

ალენ გინსბერგი

ყმუილი

კარლ სოლომონს

I.

ჩემი თაობის ყველაზე ჭკვიანი ხალხი ვიხილე, შეშლილობის პირას მისული, მოშიშშილე, შიშველი და ისტერიული, დილაბნელზე მოლასლასე ზანგთა კვარტლებში, წამლის დოზის საძებნელად გამოსული,

ანგელოზისთაუიანი პიპსტერები, ვარსკვლავოვან დინამოსთან ზეციური ანტიკური შეუღლებისთვის რომ იწვიან ღამეების მექანიზმებში,

ვინც ლატაკი და დაძონძილი ჩაცვნილი უპეებით ფხიზლობდა და ეწეოდა იმ ცივწყლიანი ოთახების ზებუნებრივ კუნაპეტში, ჯაზის ჭვრუტით რომ მიცურავს ქალაქის თავზე,

ვინც რელსების ქვეშ სამოთხისთვის მოიშვლია თაეისი ტვინი და იხილა ნაქირავეები ოთახების სახურავეებზე მობორძიკე მუჰამედის მოლიცლიცე ანგელოზები,

ვინც ჩაუარა უნივერსიტეტს გამყინავი, გამჭოლი მზერით და ომისაგან გაწაფულთ შორის ელანდებოდა არკანზასის და ბლეიკის ტრაგედიები,

ვინც გააძევეს უმაღლესი სასწავლებლიდან სიგიჟისთვის თუ ურცხვი ოდების თავის ქალის ფანჯრის რაფებზე გაცხადებისთვის,

- ვინც ქვედა საცვლის ანაბარა იბუზებოდა მოუწყობელ
ოთახებში, ნაკვის ყუთში წვადა ფულს და კედლის
მიღმა საშინელებას აყურადებდა,
- ვინც ლარედოდან მარიხუანით აღგზნებული ბრუნდებოდა ნიუ-
იორკში და საკუთარი ფანჩრის ტყეში დააპატიმრეს,
- ვინც ცეცხლს ჭამდა უგემოვნოდ გადაღებილ სასტუმროებში
ან პარადის-ელეში სვამდა სკიპიდარს, სიკედილი, ანდა
სხეულის განწმენდა არა ერთი და არა ორი ღამის
წყვიდადში
- სიზმრებით და ნარკოტიკით, კოშმარებით, ასოთი და
უსასრულო სათესლეებით,
- შეუდარები ბრმა ქუჩები მოცახცახე ღრუბლების და ჭექა-
ქუხილის, კანადის და პეტერსონის პოლუსებისკენ რომ
მიხტიან გონებაში და შუქს ჰფენენ მათ შუაში
გაჩერებულ დროის სამყაროს,
- პეიოტისგან მოგვრილი სიმყარე დარბაზების და ალიონი
სასაფლაოს მარადმწვანე ხუთა ფონზე, ღვინით თრობა
სახურავეებზე უფრო მაღლა, გაბრუებულთა გარეუბნების
ვიტრინები, ნეონური მოციმციმე სინათლეები, მზე,
მთვარე და ხეების რხევა ზამთრის ბრუკლინის ხმაურიან
ბინდბუნდებში, სანაგვე ურნის მაღალი სტილი და
მსუბუქი აღქმადობა მეფური გონის,
- ვინც ბეტერიდან წმინდა ბრონქსამდე უსასრულო გზის
გულისათვის ამფეტამინით მეტროს სიღრმეებს
მიეჯაჭვა, სანამ ბორბლების და ბავშვების ხმაურმა არ
დასცა ისინი, პირგახეულნი, ათრთოლებულნი,
ზოოპარკის პირქუშ ნათელში ბრწყინვალეებით
გამომშრალი უღიმღამო ტვინის ამარა,
- ვინც ყვინთავდა მთელი ღამე „ბიკფორდის“ წყალქვეშა
ნათებაში, ხოლო მერე კი გამოყვინთა, ნაშუადღევს
„ფუგაზიში“ ფსელლით ლულს შემოუჯდა და ატომური
მუსიკალური ავტომატიდან მეორედ მოსვლის ხმებს
აყურადებდა,

- ვინც სამი დღე-ღამის განმავლობაში შეუჩერებლივ
ლაპარაკობდა პარკიდან სახლამდე, ბელვიუმდე,
ბრუკლინის ხილამდე, ბარამდე და მუზეუმამდე,
დაღუპული ბატალიონი პლატონურად მოქაქანეთა,
ვერანდებიდან რომ ხტება დაბლა, ხტება სახანძრო
კიბეებიდან, ხტება ფანჯრის რაფებიდან, ემპაია
სტეიტიდან, ხტება მთვარიდან,
რომ ლაყბოს, ყვირის, არწყევს, ჩურჩულებს ფაქტებსა და
მოგონებებს, ანეგდოტებს, თვალში დარტყმებს, შოკებს
ომების, ციხეების და ჰოსპიტლების,
მბრწყინავთვალება შვიდდღიანმა ტოტალურმა გახსენებამ
მთელი გონება ამოანთხია, ხორცი სინაგოგისათვის
ქვაფენილზე არის დაყრილი,
ვინც გაქრა ძენში, არაფერში, ნიუ-ჯერსიში, და ბუნდოვანი
კვალი დატოვა ატლანტიკ-სიტი ჰოლის ღია
ბარათებისა,
დაიტანჯა ჩინური შაკიკით, აღმოსავლური ოფლისდვრით
და ტანყერული ძვლების ტეხვით და უწამლობით
ნიუარკის მოუწყობელ ოთახებში,
ვინც ღამდამობით სარკინიგზო სადგურებში წრიალებდა
წასასვლელის ძებნაში და ისე წავიდა, არავის არ
დაწყვიტა გული,
ვინც სიგარეტს სიგარეტზე უკიდებდა მამაკაცურ თოვლიან
ღამით მიყრუებული ფერმებისკენ მორახრაზე ვაგონებში
ვაგონებში ვაგონებში,
ვინც სწავლობდა პლოტინს, სან ხუანს, პოს, ბოპ კაბალას,
ტელეპათიას, რადგან კანზასში მათ ფეხთა ქვეშ
ინსტინქტურად ზანზარებდა მთელი კოსმოსი,
ვინც ინდიელთა წარმოსახვით ანგელოზებს დაექებდა აიდაპოს
ქუჩებში და ვინც გადაიქცა ინდიელთა წარმოსახვით
ანგელოზად,
ვინც ფიქრობდა, რომ შეირყა მხოლოდ, მაშინ, როცა მთელი
ბალტიმორი ციმციმებდა ზებუნებრივ აღტყინებაში,

- ვინც ხტებოდა ოკლაპომელ ჩინელთან ერთად ლიმუზინებში, ატაცებული პროვინციული შუალამის ზამთრის ქუჩების განათების წვიმის იმპულსით,
- ვინც დამშეული და მარტოსული ეხეტებოდა ჰიუსტონში, მათლაფა წენიანს, ჯაზს ანდა სექსს დაეძებდა და ესპანელ ბრწყინვალე გვამს ადევნებული, ამერიკის და მარადისობის საკითხებზე ბჭობდა მასთან, აი, ასეთი უპერსპექტივო საქმიანობა, ხოლო შემდეგ აფრიკისაკენ გეზმიმართულ გეშზე ჯდებოდა,
- ვინც მექსიკის ვულკანებში ქრებოდა და თავის შემდეგ არაფერს არ ტოვებდა, გარდა ჩიკაგოს ბუხარზე მიმოპნეული პოეზიის ფერფლის და ლავის და სამუშაო კომბინიზონის წახრილი ჩრდილის,
- ვინც კვლავ ჩნდებოდა დასავლეთის სანაპიროზე და ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს უთვალთვალეებდა წვერიანი, შორტებიანი, სექსუალური გარუჯული ტანითა და მშვიდობისმოყვარედ მომზირალი ფართო თვალეებით ავრცელებდა გაურკვეველი სახის ბროშურებს,
- ვინც ანთებულ სიგარეტებს იწვავდა მკლავზე კაპიტალიზმის ნარკოტიკული ბინდისადმი პროტესტის ნიშნად,
- ვინც ცრემლის ფრქვევით და საჯარო გაშიშვლებით ავრცელებდა უნიონ სკვერზე ზეკომუნისტურ მწვავე პამფლეტებს, მაშინ როცა ლოს-ალამოსის სირენები ქვითინებდა, უოლ სტრიტი ქვითინებდა და ქვითინებდა ბორანი სტეიტენ აილენდისაც,
- ვინც ტიტეული გაქათქათებულ სპორტდარბაზებში ტირილით მუხლებზე ეცემოდა და სხვა ჩონჩხების მექანიზმების წინაშე თრთოდა,
- ვინც დეტექტივებს კბილებით ყელში აფრინდებოდა და პოლიციის მანქანაში მის შესახებ შეთითხნილი კრიმინალის: მამათმავლობის ანდა ტოქსიკომანიის გამო ყვიროდა ალტკინებული,

- ვინც მუხლებზე დაცემული გაღმუოდა მიწისქვეშა
 გასასვლელში და როდესაც ჩამოათრიეს, მანუსკრიპტებს
 და გენიტალიებს აქეთ-იქით აფრიალებდა,
- ვინც უცოდველ მოტოციკლისტებს ტრაკს აძლევდა და
 ყვიროდა ნეტარებისგან,
- ვინც მინეტით მეზღვაურებთან და ადამიან-სერაფიმებთან თავს
 ირთობდა, ატლანტიკური და კარიბული ალერსი
 ტკბილი,
- ვინც დილიდან საღამომდე ყვავილნარში ანძრევდა და
 სასაფლაოს თუ ბულვარის ბალახ-ბულახში თავისი
 სპერმით აჯილდოვებდა ყველას, ვინც გზად მიდიოდა,
 ვისაც შეეძლო,
- ვინც ცდილობდა ეხითხითა და სანაცვლოდ წამდაუწუმ
 ასლოკინებდა, ხოლო თურქულ აბანოში შირმის უკან
 უჯდებოდა ქვითინისგან გული, როცა ქერათმიანი,
 ტიტლიკანა ანგელოზი თავს ადგებოდა ხანჯლის
 წვერით განსაგმირავად,
- ვინც დაკარგა საყვარლები ბედისწერის კუდიანი სამი
 დედაბრის გამოისობით, ცალთვალა ჰეტეროსექსუალი
 დოლარი იყო მათგან ერთი, მეორეს საშო უციმციმებდა,
 მესამე კი, ისიც ცალთვალა, სულ არაფერს აკეთებდა,
 იჯდა ტრაკის აუწვევლად და ცნობიერების ოქროს
 ძაფებს საქსოვ დაზგაზე მაკრატლით ჭრიდა,
- ვინც ერწყმოდა გზნებითა და დაუცხრომლად ლუდის ქილას,
 შეყვარებულს, სიგარეტის კოლოფს, სანთელს,
 ვარდებოდა ლოგინიდან, განაგრძობდა იატაკზე, მთელ
 ოთახში, დასუსტებამდე, იგივეს, სანამ გაუმაძღარი
 მუტელი არ ელანდებოდა ბოლო ხილვად კედელზე და
 გონება არ ებინდებოდა, ცნობიერების უკანასკნელ
 ცდუნებას რომ გარიდებოდა,
- ვინც აფრქვევდა სურნელებას მილიონობით მოცახცახე
 ქალიშვილის ხვეენა-კოცნას და თვალეები დილით უკვე
 წითელი ჰქონდა, თუმც მზად იყო, რომ შეეტებო მზის

- ამოსვლა, გომურში გამკრთალი თუბოები, სიშიშველ
ტბაში,
- ვინც მრუშობდა ნაქურდალი ავტომობილით კოლორადოში,
ნ. კ., ამ ლექსების საიდუმლო გმირი, კაცი-ასო და
დენვერელი აღონისი — სასიამოვნო გახსენება
უთვალავი გოგონასი, რომელთანაც დაწოლილა
მანქანის ცარიელ სადგომებზე თუ საკუჭნაოში,
კინოდარბაზის მორყეულ რიგში, მთის წვერზე თუ
გამოქვაბულში, ანდა სულაც სადღაც, გზისპირას,
გაკნაჭული მიმტანებისთვის ქვედაკაბის აწევა და
განსაკუთრებით ბენზინის წერტის ტუალეტების
საიდუმლო სოლიპსიზმები და აგრეთვე ხეივნები
მშობლიური ქალაქისა,
- ვინც ბინძურ და გრძელ ფილმებში თანდათანობით განქარდა
და ოცნებებში გადაინაცვლა, და უეცრად მანჰეტენში
გამოიღვიძა, ამოვიდა სარდაფიდან, ტოკაის სასტიკი
ღვინისაგან ნაბახუსევი, და მესამე ავენიუს რკინის
სიზმრებით შეძრწუნებული წაბორძიკდა უმუშევართა
ბირჟებისაკენ,
- ვინც მთელი ღამე დათოვლილ დოკებში სისხლით სავსე
ფეხსაცმელებით იარა და ისტ რივერის კარიბჭის
გახსნას და ცხელი ორთქლით და ოპიუმით სავსე
ოთახში შესვლას ელოდა,
- ვინც დიადი თვითმკვლელური დრამები შექმნა ჰადსონის
წაზრილ ცათამბჯენებში მთვარის ლურჯ შუქზე ომის
წლებში და ვისი შუბლიც შეიმოსება მფიწყების დაფნის
გვირგვინით,
- ვინც გატკვირა წარმოსახვითი მოშუშული ბატკნის ხორცი
ან მოინელა კიბორჩხალა ბაუერის მდინარეების
შლამიან ფსკერზე,
- ვინც ქუჩების რომანტიკას დასტიროდა ხახვითა და ცუდი
მუსიკით გადავსებული ოთხთვალეებიდან,

- ვინც ხიდის ქვეშ ყუთში იჯდა და სიბნელეში მძიმედ სუნთქავდა, ხოლო მერე წამოიძარტა, კლავესინები რომ აუგო საკუთარ სხვენზე,
- ვინც ახველებდა ჭლექიანი ცის ქვეშ, პარლემის მეექვსე სართულზე, ვნების აღმურში, თეოლოგიის ციტრუსის ყუთებით გარშემორტყმული,
- ვინც ჯღაბნიდა მთელი ღამე ჯადოსნობაზე და მაგიურ ფორმულებზე აცეკვებული და ყველაფერი ეს გარიჟრაჟის სიყვითლეში აბდაუბდა სტანსებად ექცა,
- ვინც ამზადებდა ცხოველების დამპალი ფილტვის, გულის, კულის, ფეხებისაგან ბორშჩს და კვერებს, ვისაც ვეგეტარიანელების წმიდა საუფლო ელანდებოდა,
- ვინც ხორციტ სავსე სატვირთოებს ბორბლების ქვეშ უვარდებოდა,
- ვინც აგდებდა სახურავიდან საკუთარ საათს, მარადისისთვის დროის მიღმა ხმა რომ მიეცა და მას მერე მათ მთელი ათი წლის განმავლობაში მალევიძარები ყოველდღიურად ეცემოდათ თავში ზრიალით,
- ვინც ვენები გადაიჭრა ზედიზედ სამჯერ წარუმატებლად, დაანება მერე თავი ამ საქმეს და ანტიკვარული სალონი გახსნა, სადაც საკუთარ სიბერეზე ფიქრობდა და თან ცრემლებს ღვრიდა,
- ვინც დაიბუგა ცოცხლად მედისონ აენიუზე ფლანელის უცოდველ კოსტიუმში ტყვიის ლექსების აფეთქებებს, რკინისებურ მოდის პოლკთა ფეხის ბრაგაბრუგს, ფერიათა ნიტროგლიცერინულ სარეკლამო შეყვირებებს და ავბედითი ინტელიგენტი რედაქტორების იპრიტს შორის, ანდა სულაც აბსოლუტური რეალობის მთვრალმა ტაქსმა გადაუარა,
- ვინც ბრუკლინის ხიდიდან ძირს გადაეშვა და ეს მართლა მოხდა და იგი, უცნობი და მივიწყებული, შვეიდა ჩინურ რესტორანთა დანისლული ხეივნების მოჩვენებით

- განცვიფრებაში და სახანძრო მანქანები, და არცერთი კათხა ლუდი სადმე, მუქთაზე,
- ვინც მწუხარედ მღეროდა თავის ფანჯარაში, მეტროში ვაგონის ფანჯრიდან კი გადმოუარდა, ვინც ისკუპა ამყრალეულ პასაიკში, დაახტა ზანგებს, გააყრუა ღრიალით ქუჩა, ვინც აცეკვდა დვინის ბოთლის ნამტვრევებზე ფეხშიშველი, დაამსხვრია გრამფირფიტები ევროპელთათვის ნოსტალგიური, 30-იან წლებში მეტად პოპულარული, გერმანული ჯაზის ძველი ჩანაწერებით, ვინც გამოცადა ვისკის ბოთლი და სისხლიან ტუალეტში მძიმედ არწყევდა, მათ ჩივილები და უზარმაზარ ორთქლის საყვირთა ხმაურები ესმოდათ ყურში,
- ვინც მიქროდა წარსულის გზებზე ერთმანეთისკენ, ჯაბახანა მანქანების გოლგოთა და ხილვა ციხის მარტოობის, ბირმინჰემის ცხელი ჯაზის ინკარნაცია,
- ვინც ამ ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორემდე სამ დღე-ღამეში აღწევდა, რათა გაეგო, ვინმეს, მე, შენ ან მას მარადისობის განსაჭვრეტად თუ ჰქონდა ხილვა,
- ვინც გასწია დენვერისაკენ, ვინც იქ მოკვდა, ვინც დაბრუნდა დენვერში ამაო ლოდინისათვის, ვინც იცაუდა დენვერს და თან მისცემოდა სევდიან ფიქრებს, ვინც მარტო იყო დენვერში და ბოლოს ისიც წაეიდა, რათა შეემეცნა დროის არსი, და დენვერი მივარდნილი ქალაქია ახლა უგმიროდ,
- ვინც მუხლებზე ეცემოდა უსასოო ეკლესიებში და მოყვასის სულის ხსნისთვის, სინათლისთვის და მკერდისთვის ლოცულობდა, სანამდე არ განათდებოდა წამიერად მისი თმა სულით,
- ვინც თავისი ცნობიერების სატუსალო შეამსხვრია და ელოდა წარმოუდგენელ ოქროსთმიან დამნაშავეებს რეალობის ხიბლით გულებში, რომ მღეროდნენ უტკბილეს ბლუზებს ალკატრაზისთვის,

- ვინც მიდიოდა მექსიკაში, კულტურული ჩვევები რომ დაენერგა ან როკი მაუნტში, რომ ბუდასთვის თაყვანი ეცა ან ტანჟერში ბიჭებისთვის, ანდა „საზერნ პასიფიკში“, ძველ, გამჭვარტლულ ლოკომოტივთან ან ჰარვარდში ნარცისისთვის, ან ვუდლონში ზიზილებისთვის, ანდა საფლაოთან,
- ვინც სწორ განაჩენს საჭიროებდა, ბრალი დასდო ჰიპნოტიზმში რადიოს და ვინც საკუთარ სიგიჟესთან, ხელებთან და ჩამომხრჩვალ ნაფიც მსაჯულებთან დატოვეს მარტო,
- ვინც კარტოფილის სალათს უშენდა დადაიზმის ნიუ-იორკელ ლექტორებს და ამის შემდეგ გადაპარსული კინკრიხოთი და თვითმკვლელის არლეკინური მეტყველებით საგიჟეთის მარმარილოს კიბეებზე აღმოჩნდა და ლობოტომიას მოითხოვდა დაუყოვნებლივ,
- და ვინც ამის ნაცვლად მიიღო ინსულინის, მეტრაზოლის, ელექტრობის, ჰიდრო, ფსიქო და შრომითი თერაპიის, პინგ-პონგის ან ამნეზიის გაქვავებული ვაკუუმი,
- ვინც ანთებულმა პროტესტის უინით ერთადერთი სიმბოლური პინგ-პონგის მაგიდა ააყირავა და მცირეხნით ნერვულმა სპაზმამ მოჰგვარა შეება,
- წლების შემდეგ კი ქაჩალი, სისხლის, ცრემლების და თითების პარიკიდა რომ შერჩენოდა, შეშლილთა ხილულ ბედისწერას დაუბრუნდა აღმოსავლეთის გადარეული ქალაქების ბნელ ციხეებში,
- პილიგრიმების შტატის, როკლენდის, გრეისთონის მყარალი პოლები, კამათი სულთა ექოებთან, სიყვარულის გაქვავებულ სამეფოებში მიტოვებულ ძელსკამებზე შუაღამის მძიმე როკვა და კოშმარი სიცოცხლის სიზმრის, ქვაღქცეული სხეულები, მთვარესავით დამძიმებულნი,
- და ბოლომდე ***** დედა, ფანტასტიკური ბოლო წიგნი, ნაქირავები ოთახის ფანჯრიდან მოსროლილი და ბოლო კარი, დაკეტილი ოთხ საათზე გამთენიისას, და

ტელეფონი უკანასკნელი, პასუხის ნიშნად მინარცხებული კედელზე და ბოლო ოთახი, პირწმინდად დაცლილი მენტალური ავეჯისაგან, ხელოვნური ყვითული ვარდი, დახვეული სახრჩობელას მაუთულზე კლოზეტში და ისიც მხოლოდ წარმოსახვაში, სულ არაფერი, ერთი ბეწო იმედისმომცემი მირაჟის გარდა —

ო, კარლ, სანამ დაუცველი ხარ, დაუცველი ვარ მეც შენსაფეთ და შენ ახლა დროის ცხოველურ და ტოტალურ ბულიონში იმყოფები

და ვინც ამის გამო გარბოდა ყინულოვანი ქუჩებით და უკან სდევდა ალქიმიური მოულოდნელი გასხვოსნება იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ელიფსის, საზომის, კატალოგის და თვითმფრინავის ვიბრაციის გამოყენება, ვინც ოცნებობდა და სურათ-ხატთა ზედდებით დროსა და სივრცეში ინკარნაციულ რღვევებს ახდენდა, ვინც ჩაიჭირა ორ ხილვას შორის არქანგელოზი, შეაერთა მარტივი ზმნები, არსებითი სახელები და ცნობიერების მისწრაფებები, ვინც ხტუნავდა Pater Omnipotens Aeterna Deus შეგრძნებით,

რომ აღედგინა ადამიანის უბადრუკი ცხოვრების პროზის სინტაქსი და ზომა და უტყვეი, ინტელიგენტი დამდგარიყო შენს წინაშე სირცხვილისგან ათრთოლებული, უარყოფილი, უსაშველო და შიშველ ჯოგში ელიარა, რომ სული ფიქრის რიტმს ემორჩილება,

შემღილი ღოთი და ბიტნიკი ანგელოზი, დროში, უცნობნი, რომ ტოვებენ იმას, რაც უნდა ითქვას მათი სიკვდილის შემდეგ

გარდასხეულდნენ და აღდგნენ ჯაზის მოჩვენებით სამოსელში და ბუკის ჩრდილში, და ჩაპბერეს ამერიკის შიშველი გონების სატანჯველისთვის, სიყვარულისთვის საქსოფონის ტირილი eli eli lamma lamma sabacthani რაც ქალაქებს უკანასკნელი რადიოს წინაშე აცახცახებს,

ამ ცხოვრების პოეზიით გადაესებულ გულთან ერთად, საკუთარი სხეულებიდან რომ იჭრება და მისი ჭამა შეიძლება ათასი წელი.

II.

ცემენტის და ალუმინის რომელმა სფინქსმა გააპო მათი თავის ქალა და ამოჭამა მათი ტვინი და წარმოსახვები?

მოლოქი! მარტოობა! ჭუჭყი! სიმახინჯე! სანაგვე ურნები და მიუწვდომელი დოლარები! ბავშვების წივილი კიბეების ქვეშ! ბიჭების ქვითინი სამხედრო ნაწილებში! ბერიკაცების ტირილი პარკებში!

მოლოქი! მოლოქი! მოლოქის კოშმარი! მოლოქი უსიყვარულობის! ცნობიერების მოლოქი! მოლოქი, სასტიკი მსაჯული კაცობრიობის!

მოლოქი, ამოუცნობი საპატიმრო! მოლოქი, გადაჯვარედინებული ძელების უსულგულო ჯურღმული და მწუხარების კონგრესი! მოლოქი, რომლის შენობები განაჩენია! მოლოქი, ომის უშველებელი დოლაბი! მოლოქი, შეძრწუნებული მთავრობები!

მოლოქი, რომლის გონება წმინდა მექანიზმია! მოლოქი, რომლის სისხლი ფულის მიმოქცევაა! მოლოქი, რომლის თითები ათი არშიაა! მოლოქი, რომლის მკერდი კაციჭამია დინამოა! მოლოქი, რომლის ყური მხრჩოლავი სამარეა!

მოლოქი, რომლის თვალები ათასი ბნელი ფანჯარაა! მოლოქი, რომლის ცათამბჯენები გრძელ ქუჩებში დგანან მსგავსად მარადი იელოუების! მოლოქი, რომლის ფაბრიკები ოცნებობენ და ჩხაუიან ნისლში! მოლოქი, რომლის საკვამურები და ანტენები თავზე გვირგვინად ადგანან ქალაქს!

მოლოქი, რომლის სიყვარული უღვევი ნავთობი და საშენი ქვაა! მოლოქი, რომლის სული ელექტრობა და ბანკებია! მოლოქი, რომლის სიღატაკე გენიის აჩრდილია! მოლოქი, რომლის ბედისწერა წყალბადის უსქესო ღრუბელია! მოლოქი, რომლის სახელი გონებაა!

მოლოქი, რომელშიც მარტო ვარ! მოლოქი, რომელშიც ანგელოზები მეღანდება! შეშლილი მოლოქში! ყლისმწოველი მოლოქში! სიყვარულს და კაცს მოკლებული მოლოქში!

მოლოქი, რომელმაც ადრევე შემოადწია ჩემს სულში! მოლოქი, რომელშიც ცნობიერება ვარ სხეულის გარეშე! მოლოქი, რომლის შიშით დამეკარგა ბუნებრივი ექსტაზი! მოლოქი, რომელსაც ვტოვებ! გაიღვიძე მოლოქში! სინათლე იღვრება ციდან!

მოლოქი! მოლოქი! უსულგულო ბინები! უხილაგი გარეუბნები! ნეშტთა საგანძურები! ბრმა დედაქალაქები! დემონური ინდუსტრია! მირაჟული ნაციები! უძლეველი საგიჟეთები! გრანიტის ასოები! შემზარავი ბომბები!

მათ ზურგები გადაიტყავეს, რათა მოლოქი ცამდე აყვანათ! ქვაფენილები, ხეები, რადიოები, ბრბოები! ქალაქი, აყვანილი სამოთხემდე, რომელიც ყველგანაა ჩვენს ირგვლივ!

ხილვები! წინათგრძნობები! ჰალუცინაციები! ამერიკულმა მდინარემ წაიღო!

ოცნებები! თაყვანისცემები! გასხივოსნებები! რელიგიები! სენტიმენტალური მონაჩმახით დატვირთული ნაჲი!

გარღვევები! მდინარის გაღმა! დარტყმები და ჯვარზე გაკვრები! წყალმა წაიღო! სიმადლეები! ნათლისღებები! სასოწარკვეთილებები! ცხოველური ღრიალისა და თვითმკვლევლობების ათწლეულები! უჭკვიანესნი! ახალი სიყვარულები! ჭკუაზე გადასული თაობა! დროის კლდეებზე დაიღწა!

ჭეშმარიტად წმინდა სიცილი მდინარიდან! მათ ყველაფერი ნახეს! ველური თვალები! წმინდა წამოყვირებანი! ისინი დაემშვიდობნენ! მათ ისკუპეს საზურავიდან! მარტობისკენ! ხელის ქნევით! ყვავილებით! ქვემოთ, მდინარისკენ! ქუჩაში!

III.

კარლ სოლომონ! მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 იქ სადაც შენ შეშლილი ხარ ჩემზე უფრო მეტად
 მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 იქ სადაც შენ თავს ძალიან უცხოვად გრძნობ
 მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 იქ სადაც შენ ბაძავ დედაჩემის აჩრდილს
 მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 იქ სადაც შენ საკუთარ თორმეტ მდივანს გამოლადრე ყელი
 მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 იქ სადაც უხილავ ხუმრობებზე იცინი
 მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 იქ სადაც მე და შენ ვართ ორი დიდი მწერალი ერთი შემზარავი
 საბეჭდი მანქანით
 მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 იქ სადაც შენი ჯანმრთელობის შესახებ რადიოთი იუწყებიან
 მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 იქ სადაც თავის ქალა ველარ იტევს მგრძნობელობის ჭიებს
 მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 იქ სადაც შენ სვამ რძიან ჩაის იუტიკელი შინაბერების
 ძუძუებიდან
 მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 იქ სადაც ერთობი შენი მომკვლელების — ბრონქსელი
 პარპიების სხეულებზე
 მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 იქ სადაც გიჟის ხალათმოცმული გაყვირი პინგ-პონგში
 დამარცხების შემდეგ უფსკრულის თავზე
 მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 იქ სადაც ურახუნებ ნერვებაშლილ პიანინოს სული წმიდა და
 უკვდავია ის ასე უღმერთოდ არ უნდა დაიღუპოს
 საიმედოდ გამაგრებულ საგიჟეთში
 მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 იქ სადაც ხუთ ათეულზე მეტი შოკიც ვერასოდეს დააბრუნებს

უდაბნოში ჯვრისკენ გზას დამდგარ შენს სულს სხეულში
 მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 იქ სადაც ბრალს სდებ შენს ფსიქიატრებს სიგიჟეში და
 ფაშისტურ-ნაციისტურ გოლგოთას რომ შეებრძოლო
 სოციალისტური ებრაული რევოლუციის გეგმას აწყობ
 მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 იქ სადაც ლონგ აილენდის ზეცა უნდა გააპო და ზეკაცის
 სამარიდან აღადგინო მკვდრეთით იესო
 მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 იქ სადაც ინტერნაციონალის ბოლო კუპლეტს ერთად მღერის
 შეშლილი ოცდახუთათასი ამხანაგი
 მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 იქ სადაც მე და შენ ვებხევიით და ვკოცნით ზეწარქვეშ ამერიკის
 შეერთებულ შტატებს რომელიც მთელი ღამე ახველებს
 და არ გვაძინებს
 მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 იქ სადაც კომისგან გამოვყავართ ჩვენი სულების
 აეროპლანების გუგუნს ისინი სახურავის თავზე
 ფრინავენ რათა ანგელოზური ბომბები ჩამოყარონ
 ჰოსპიტალი ასხივებს მისი წარმოსახვითი კედლების
 ნგრევა ო გაძვალტყავებულთა ლეგიონებო გაიქეცით
 სწრაფად გარეთ ო მოწყალების ვარსკვლავურად
 მბრჭყვინავი შოკი აქ მარადიული ომია ო გამარჯვება
 შემოიძარცვეთ ტანისამოსი ვართ ყველანი თავისუფლები
 მე ვარ შენთან ერთად როკლენდში
 ჩემს სიზმრებში სისხლი მდის წვეთ-წვეთ კრუიზის შემდეგ
 ზღვიდან ბრუნდები ავტოსტრადებით კვეთ ამერიკას
 ცრემლები გდის ჩემი ქოხის კარს უახლოვდები
 დასაუღეთის კუნაპეტ ღამით

შანიშნებაი

ლარედო — ქალაქი ტეხასის შტატში, მექსიკური კონტრაბანდის ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრი.

პეტერსონი — ქალაქი ნიუ-ჯერსის შტატში.

პეიოტი — მექსიკური ნარკოტიკული საშუალება.

ბეტერი — უბანი სამხრეთ მანჰეტენში

ბრონქსი — ნიუ-იორკის ერთ-ერთი რაიონი; ცნობილია კრიმინალური აქტივობით და ნარკომანთა საყუდელებით. ბრონქსში მდებარეობს ნიუ-იორკის ცნობილი ზოოპარკი.

„ბიფორდი“, „ფუგაზი“ — ნიუ-იორკის კაფეები, რომელთაც სტუმრობდნენ ბიტნიკები.

ბელვიუ — ნიუ-იორკის ცენტრალური საავადმყოფოს შემოკლებული სახელი.

ემპაია სტივტი ბილდინგი — ნიუ-იორკის ცნობილი ცათამბჯენი.

ტანჯერი — ქალაქი მაროკოში, სადაც მკვიდრდებოდნენ ამერიკელი ჰომოსექსუალისტები და ნარკომანები.

ლოს-ალამოსი — პატარა ქალაქი ნიუ-მექსიკოს შტატში, ატომური ცდების ცენტრი.

ნ. კ. — ნილ კესიდი.

სტივტენ-აილენდი — ნიუ-იორკის ერთ-ერთი რაიონი, რომელიც მანჰეტენთან ბორანითაა შეერთებული.

დენვერი — კოლორადოს შტატის ადმინისტრაციული ცენტრი. ბიტ-მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრი.

ბაუერი — უბანი სამხრეთ მანჰეტენში, სადაც განთავსებულია იაფი ბარები და ლამის გასათევები.

პასაიკი — მდინარე ნიუ-ჯერსის შტატში.

ბირმინჰემი — ქალაქი ალაბამას შტატში. ცმ

ალკატრაზი — კუნძული და ციხე სან-ფრანცისკოს მახლობლად; 1930-1960-იან წლებში აქ იხსდნენ განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები, მათ შორის ალ კაპონი.

„საზერნ პასიფიკი“ — ტრანსამერიკული ექსპრესი.

***** — ასეა დედანში.

Pater Omnipotens Aeterna Deus - ყოვლისშემძლე მამის მარადიული ღმერთის (ლათ.)

eli eli lamma lamma sabacthani - უფალო, უფალო, რაისთვის დამიტევე მე (მათეს სახარება. არამეული)

მეტრაზოლი — ქიმიური პრეპარატი, რომელიც კრუნჩხვებს ინვევს.

როკლენდი — ქალაქი მენის შტატში.

გრეისტოუნი — ქალაქი ნიუ-იორკის შტატში.

იუტიკა — ქალაქი ნიუ-იორკის შტატში.

მზესუმზირას სუტრა

- ვხეტილობდი კონსერვის ქილებით და ბანანის კანით მოფენილ დოკის კიდეზე და „საუთერნ პასიფიკის“ ლოკომოტივის ვეებერთელა ჩრდილში დაეჯექი, შზის ჩასვლისთვის რომ მიეყურებინა, მზე ჩადიოდა გორაკებზე, ყუთებივით სახლების მიღმა და მე ვტიროდი.
- ჯექ კერუაკი, მეგობარი, იჯდა ჩემს გვერდით რკინის დაჟანგულ, მოღრეცილ მილზე, ერთნაირი სულის ფიქრები გვაწუხებდა, სილურჯე დაგვეკრავდა სახეებზე, მოღუშულები ვიყავით და სევდიანი თვალები გვექონდა მექანიზმთა ლითონის ფესვებით გარშემორტყმულებს.
- მდინარის წყალი — ნათობიანი — ირუკლავდა მეწამულ ზეცას, სან-ფრანცისკოს ბოლო წვეტებსაც ჩამოსცდა მზე და დაბლა დაეშვა, ამ წყლებში არცერთი თევზი არაა, ვერ იპოვი ვერცერთ განდეგილს ვერსად ამ მთებში, და მხოლოდ ჩვენ, როგორც ორი მაწანწალა, დაქანცული და ცბიერი, ჩამომსხდარვართ სანაპიროსთან წირპლიანი თვალებით და ნამთვრალეკები.
- ო, შეხედე მზესუმზირას — მანიშნა მან — ცის ფონზე ჩანდა მკვდრისფერი ჩრდილი, კაცვიით დიდი და ნახერხის ძველი გროვის წვერზე დამჯდარი —
- მე, მოხიბლული, ფეხზე წამოვხტი — ეს პირველი მზესუმზირა იყო ჩემთვის, მოსაგონარი ბლექისა — ჩემი ხილვები, — ჰარლემი
- და აღმოსავლეთის მდინარეების ჯოჯოხეთი, ხიდეები და რაჩხარუჩხი ჯოის გრიზის სენდვიჩების, მკვდარი ბავშვების ეტლები და გაცვეთილი საბურავები, სანაპირო ზოლის ლექსი, კონდომები და ქოთნები, და დანები — ფოლადის, მაგრამ არაფერი უჟანგავი, მხოლოდ სველი ნაგავი და წვერსაპარსივით ალესილი არტეფაქტები, წარსულში რომ გადადიან —

და ნაცრისფერი მზესუმზირა, ჩამავალი მზის ფონზე ჰაერში გამოკიდული, დამსკდარი, პირქუში და მტვრიანი, მის თვალებში ღრმად გამყდარი ძველი ლოკომოტივების სმოგი, ჭვარტლი და მაზუთი —

და გვირგვინი — დაბზარული და ჩაქამებული მისი ფურცლები მოღუნული კიდევებით — გვირგვინი, სამეფო დაჭყლეთილი გვირგვინის მსგავსი — ზედაპირიდან მარცვლები რომ ცვივა და მალე ცხელი ჰაერის უკბილო პირად გადაიქცევა, და მის თმაში, როგორც გამხმარობობას ქსელში ჩახოცილი მზის სხივები,

ფოთლები, ღეროდან აქეთ-იქით მკლავებოვით გამოშვერილი, ყესტები, ნახერხში ამოსვრილი მისი ფესვების, ბათქაში, შავი ტოტებიდან ჩამოცვენილი, და ყურში მკვდარი, გახრწნილი ბუზი —

უწმინდური, გასრესილი ძველი ნივთი იყავი შენ, მზესუმზირავ, ო, ჩემო სულო, და მე როგორ მიყვარდი ადრე!

ეს ჭუჭყი — ადამიანების ჭუჭყი არ იყო, არამედ ლოკომოტივების და სიკვდილის, მთელი ეს მტვრის ტანისამოსი, რკინიგზის მუქ კანზე ვუალი, ლოყაზე სმოგი, ქუთუთო შავი სილატაკის, ჭვარტლიანი ხელი ანდა ფალოსი ან პროტუბერანცი ხელოვნური, ჭუჭყზე უფრო უარესი — ინდუსტრიული — თანამედროვე — ცივილიზაციის მთელი ეს ტურტლი, შენს შეურაცხად ოქროს გვირგვინს რომ წაეცხო,

და ეს მღვრიე ფიქრები სიკვდილზე და მტვრიანი, უსიყვარულო თვალები და დასასრულები, და გამხმარი ფესვები დაბლა, შინაურული ნახერხის და ქვიშის გროვაში, კაუჩუკის დოლარები, მექანიზმების სქელი კანი, ხველებისგან და ტირილისგან შიგნეულობაგადმოყრილი ავტომობილის ნაწლავები, ცარიელი და მართოსული კონსერვის ქილები გვერდზეგაპრეხილ ენებზე ჟანგით — და კიდევ რა დაუსახელო? — მოწეულ ასო-სიგარათა მხრჩოლაფი ფერფლი, საზიდრების სარცხვინელები და

მანქანების რძით გატენილი ძუძუები, სავარძლების
 გაცვეთილი უკანალები, დინამოების უკანა ხერხელები
 — ეს ყველაფერი

შენს ფესვებში აიზილა, მუშიფიცირდა და შენ ახლა ჩამავალი
 მზის ფონზე დგახარ ჩემს წინაშე, მთული შენი სიდიადე
 შენს ფორმაშია!

ო, მზესუმზირას სრულყოფილი სილამაზე! ო, სრულყოფილი,
 შესანიშნავი, მშვენიერი მზესუმზირას მარტოსული
 არსებობა! ბუნებრივმა და ალერსიანმა მისმა თვალმა,
 მეღანქოლიურ ახალ მთვარეს დამიზნებულმა, გაიღვიძა,
 ცოცხალია და ალიონის ყოველთვიური ოქროს ბრიზის
 პირველ სუნთქვებს ეწაფება დაისის ჩრდილში!

ო, მზესუმზირავ, რამდენი ბუზი დაგბზუოდა როგორც რაღაც
 წმინდა საგანს, მაშინ როცა რკინიგზის ზეცას და
 ყვავილურ საკუთარ სულს უგზავნიდი ზედიზედ წყველას

და ვინ ხარ შენ? საწყალი და მკვდარი ყვავილი? და ნეტა
 როდის დაივიწყე, ყვავილი რომ ხარ? ნეტა შენს კანს
 როდის დახედე და გადაწყვიტე, რომ ხარ ძველი,
 იმპოტენტი და ბინძური ლოკომოტივი? ანდა სული
 ლოკომოტივის? აჩრდილი და კვერთხი ოდესღაც
 ღონიერი და შეშლილი ამერიკული ლოკომოტივის?

მზესუმზირავ, შენ არასდროს არ ყოფილხარ ლოკომოტივი,
 მზესუმზირა იყავი მუდამ!

აი შენ კი, ლოკომოტივო, ხარ სწორედაც ლოკომოტივი! არ
 დამივიწყო —

და ამ სიტყვებზე ხელი წავავლე ჩონჩხივით წვრილ
 მზესუმზირას, ამოვიძირკვე და ჩემს გვერდით, როგორც
 კვერთხი, ისე დავასე,

და წარმოვთქვი ქადაგება ჩემი სულისთვის, და აგრეთვე ჯეკის
 სულისთვის, და ყველასთვის, ვინც მომისმენდა,

— ჩვენ არ ვართ ჩვენი კანი და ტუჭყვი, ჩვენ არ ვართ ჩვენი

საზარელი, მტვრიანი, მუქი, უსახო ლოკომოტივები, ჩვენ ჩვენს შიგნით ვართ მშვენიერი, ოქროვანი მზესუმზირები, ჩვენ საკუთარი თესლი გვაქვს ყველას ნაწყალობევი, და ჩვენი პრიალა, შიშველი და ოქროსთმიანი სხეულები შხის ჩასვლისას ჩვეულებრივი, შემლილი და ჩაშავებული მზესუმზირების ფორმას იღებენ და მათ ხედება ჩვენი მხერა სანაპიროზე მდგარი შემლილი ლოკომოტივის გრძელი ჩრდილის ქვეშ, სადამოხანს, კონსერვის ქილებთან, გორაკიან სან-ფრანცისკოში მზე როცა ჩადის.

მეოთხე სართული, ალიონი, ფერილბეის ფერაში გატარებული ღამის შემდეგ

ჩემი ფანჯრიდან ქუჩის მეორე მხარეზე ვხედავ, მტრედები
დაჰფრენენ

ეკლესიის სპილენძის გუმბათს, ჩიტები ბუდობს ჯვარზე და
უმზერს

ჩამუქებულ ქალაქის ღრუბლებს. ღარი რივერსი
10 საათზე ჩემთან მოვა, სურათი რომ გადამიღოს. მე,
მტრედებო,

თქვენს სურათს ვიღებ. მე აღგწერ შენ, ალიონო.

მე უკედევეყოფ ავტობუსო, შენს გამონაბოლქვს.

ო, ფიქრებო, აწი სულ ასეთ რაღაცეებზე უნდა იფიქროთ
სამარადისოდ!

სასიყვარულო ლექსი უიტმენის თემაზე

ჩუმაღ შვეალ საწოლ ოთახში და ჩაეწვები ნეფესა და
 პატარძალს შორის.
 სხეულნი, ციდან ჩამოცვენნი, მომლოდინედ გაშოტილან
 შიშვლები და მოუსვენრები,
 და მკლავები წკვარამიდან გამომკრთალი თვალების ზემოთ
 მისვენებულან.

მათ გულმკერდში ჩაურგავ სახეს, კანს შვეისუნთქავ,
 კისრებს და ტუჩებს დაეკოცნი და მოეფერები — ისე
 ვიზამ, რომ კვლავ გაიპონ,
 და ფეხებიც მომლოდინედ გადაიშლება. ასოს შვეყოფ
 სიბნელეში და მივაწვები,
 რომ აღვაგზნო სუყველაფერი ნასურუტიდან თმის ძირებამდე.
 სხეულები, შიშვლები და ერთმანეთში ჩახვეულები, შქვებებული
 ცხელი ტუჩები და დუნდულები,
 და თვალები, მათი კეესა, ჯადო, მიბნედა, დაჭყეტილობა,
 მოძრაობათაგან აღმომხდარი კენესა, ხმები, და ხელები
 პაერში და ფერდს და ფერდს შორის,
 სველი თითები დარბილებულ თეძოებზე, შეკუმშული
 მუცლების თრთოლვა,
 სანამ აბურდულ ზეწრებს მორის თეთრი სითხე არ
 გადმოსკდება

და პატარძალი არ დაიყვირებს პატიებისთვის, ხოლო ნეფე
 ვნებისა და თანაგრძნობის ცრემლებით არ დაიფარება,
 და არ ავდგები ლოგინიდან აესებული უკანასკნელი ინტიმური
 უესტებით და ბოლო კოცნებით —
 და გონება არ გაიღვიძებს, დარაბათა და დაკეტილ კართა
 მიღმა, მიმქრქალ სახლში,
 სადაც ვნებამოუკლავი ოხვრა ისმის მაცხოვრებლების
 და მის გარეთ, სიჩუმეში, შიშველი სულები დაეძებენ
 ერთიმეორეს.

რეალობის მეორე მხარეს

სან-ხოსეში, რკინიგზაზე,
სატანკო ქარხნის წინ
დავბორიალობდი მარტოკა
და დაუჯექი ძელსკაშზე
მეისრის ჯიხურის ახლოს.

ყვაილი ვგლო
თოვაში, გზისპირზე,
— საშინელი გამხმარი ყვაილი, —
გავიფიქრე — მას ჰქონდა
მყიფე შაეი ღერო და
გვირგვინი მოყვითალო ჭუჭყიანი
ფურცლებით, მსგავსი იესოს ეკლიანი
გვირგვინისა, ხოლო შუაში
გამხმარი, დასვრილი მტვრიანების კონა,
როგორც მთელი წელი
გარაყის ბნელ კუთხეში ნაგდები
პირის ასაქაფებელი ჯაგრისი.

ო, ყვითელი, ყვითელი ყვაილი,
ყვაილი ინდუსტრიის,
ჩხვლეტია, უხეში, მახინჯი ყვაილი
და მაინც ყვაილი
უზარმაზარი ყვითელი ვარდის
ფორმით შენს ტვინში!
ის ჭეშმარიტი ყვაილია ამ სამყაროსი.

შავი კაცი

ლაპლაპა

ტყავის ქუდსა და ჟაკეტში გამოწყობილი,
წინ გაბზევილი ალუმინისსალტეიანი

თითით

გასძახის მეტროს გვირაბის კაფელიან კედლებს
„ბინძური ზანგი! ბინძური ზანგი!“

მთელი პლატფორმის გაყოლებაზე
მე-14 ავენიუს ქვემოთ

დაუსრულებლად გრძელდება

„ბინძური ზანგი! ბინძური ზანგი!“

ხალხით გაჭედებულ ვაგონებში

უკანასკნელ გაჩერებამდე „დაიჭით!“

„დაიჭით!“ გასასვლელ კართან

წაისისინა მულატმა ქალმა

და შორს, მე-8 ავენიუს პლატფორმაზე

რკინის სვეტების ტყეში

გამოსცა უმალ ექოდ

„ბინძური ზანგი! ბინძური ზანგი!“

ესკალატორზე მდგარს

კვლავაც მესმოდა ეს შორეული

„ბინძური ზანგი“ და მერეც, როცა მიუყვებოდი

42-ე ქუჩას მიწისქვეშ

პორტ-აუტორიტის ავტობუსების სადგომისაკენ.

ფსალმუნნი 3

უფალო, შუქი მოჰფინე ყველას. დაიწყე სკიდ როუდიდან.
ოქსიდენტალი და ვაშინგტონი გადააქციე ზეალაგად და
მოედნად მარადისობის.

შუქი მოჰფინე კაშკაშსხეულა შემდღულებლებს
გემთსაშენებში.

სიხარულით ამწეს კაცს ხელი ააწევიანე.

აჭრიალე და ალაყბე, ზევით-ქვევით აიყვანე-ჩამოიყვანე
ლიფტები თრთოლვით.

გზა მიეცი სილამაზეს ყვავილისას, თვალის ფსკერზე რომ
აღიბეჭდოს.

ჰქენი ისე, რომ აღერილი ყვავილების აღერილობა
მიიმართოს შუქის საძებრად.

ჰქენი ისე, რომ მოღუნული ყვავილების მოღუნულობა
მიიმართოს შუქის საძებრად.

ჰქენი ისე, რომ მოხრილობაც და აღერილობაც შუქისთვის
იყოს.

ჰქენი ისე, რომ პაჯეტ საუნდში შუქმა იფეთქოს.

მე ვცხონდები შენი სახელით, ისე, როგორც ტარაკანა
პურის ნამცეცით -

და წმიდა არს ეს ტარაკანა.

ლორენს ფერლინგეტი

* * *

მუდამ აბსურდულობისა და სიკვდილის
 რისკის ქვეშ
 მყოფი პოეტი
 მაყურებელთა
 თავებს ზემოთ
 გაჭიმულ თვითნაკეთ მათულზე
 აკრობატივით
 ბობლდება რითმის დახმარებით
 და სახეების ზღვიდან ატყორცნილ
 მხერათა სხივებზე ბალანსირებს
 ნაბიჯ-ნაბიჯ
 გეზი დღის შიდაპირისაკენ აუღია
 ფეხებით ანტრაშას
 მარჯვედ აჩალიჩებს
 და სხვა მაღალოსტატურ ტრიუკებსაც მიმართავს
 ყველას უშეცდომოდ და
 რასაც აკეთებს
 დაუჯერებელია
 ის სუპერრეალისტია
 რომელიც უნდა ჩაწედეს
 ბოლომდე დაჭიმულ სიმართლეს
 ყოველი ნაგარაუდვეი
 იმ სტროფის თუ ნაბიჯის წინ
 უფრო დიდი სიმაღლისაკენ რომ ექაჩება
 იქით სადაც მშვენიერება ღვას და იცდის

სერიოზულად გამზადებული
 სალტო-მორტალესთვის
 ხოლო ის
 პატარა მოჩარლინაპლინო ადამიანი
 ან შეძლებს ან ვერა
 გაუხშობებულ საარსებო სივრცეში მოიხეულთოს
 არწივივით ფრთებგამლილი
 მისი მარადიული მშვენიერი ფორმა

* * *

იაფი ტკბილეულობის რკინიგზისიქითა მაღაზიაში
 პირველად
 შემიყვარდა
 რიოში სინამდვილე
 მარმელადის ბურთულები პრიალებდნენ
 სექტემბრის საღამოს მიმქრალ შუქში
 კატა დაძრომილობდა დახლზე
 ძირტკბილას საკნატუნო ჯოხებს
 რულეტებს
 და „ო ბოი“-ს საღეჭ რეზინებს შორის

გარეთ მომაკვდავი ფოთლები ცვიოდნენ

ქარს წაელო მზე
 გოგონამ შემოირბინა
 მისი თმა წვიმიანი იყო
 მის მკერდს იმ პატარა ოთახში ჰაერი არ ჰყოფნიდა

გარეთ კი ცვიოდნენ ფოთლები
 და მოსთქვამდნენ:
 „ასე მალე?! ასე მალე?!“

ავტორთა შესახებ

ედგარ ალან პო

(1809 — 1849). შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო როგორც პოეტ-მა-ლირიკოსმა. 1827-31 წლებში გამოცემულმა სამმა პოეტურმა კრებულმა წარმატება ვერ მოუტანა და პო პროზაზე გადავიდა. 30-იან წლებში წერდა ნოველებს, რომელთაც შემდგომში შეადგინეს ცნობილი ორტომეული „გროტესკები და არაბესკები“ (1840). ამ პერიოდ-დანვე იწყებს იგი კრიტიკოსობას. 40-იან წლებში აგრძელებს მოთხრობების წერას, მაგრამ უბრუნდება ლირიკასაც და ქმნის თავის საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებებს: „ყორანს“, „ულალუმს“, „ანაბელ ლის“... პოს ეს ლირიკა თითქმის მთლიანად ძვეს იდეალურ სფეროში. ლექსებს აქვთ ზემგრძნობელი ხასიათი, ყველაფერი ნისლითაა მოცული, ჰაეროვანია, უწონადია. ტრაგიკული პირადი ცხოვრება (დაობლება ორი წლის ასაკში, შეყვარებულის სიკვდილი, გატაცება ნარკოტიკებით) და თანდაყოლილი მეღანქოლიურობა პოს უბიძგებდა, ზურგი შეექცია ყოფითობისათვის და შეექმნა სხვანაირი, პოეტური, ანუ მშვენიერი რეალობა, რომელშიც სამარისებური სიმშვიდით თრობა ლექსის საოცარ ხმოვან ორგანიზაციაში გამოიხატებოდა.

ედგარ ლი მასტერსი

ედგარ ლი მასტერსი (1868-1950), უამრავი ლექსის, ათობით პოემის, პიესების, რომანების ავტორი დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა ერთ რიგით მწერლად, სანამ აღიარება არ მოუტანა 1915 წელს გამოქვეყნებულმა „სპუნ რივერის ანთოლოგიამ“. ნიგნი დაინერა „ბერძნული ეპიგრამების ანთოლოგიის“ წაკითხვით მიღებულ შთაბეჭდილებებზე. შედგება გამოგონილი პროვინციული ქალაქის, სპუნ რივერის მაცხოვრებელთა ორასზე მეტი ეპიტაფიისაგან და ლექსისაგან „გორაკი“, რომელიც წინ ერთვის ამ ეპიტაფიებს და ნათელს ჰფენს ავტორის ჩანაფიქრს. მასტერსმა 1924 წელს გამოსცა „სპუნ რივერის ახალი ანთოლოგია“, რითაც ეპიტაფიების საერთო რაოდენობა 500-მდე აიყვანა.

პარლ სენდბერგი

პარლ სენდბერგი (1878-1967) XX საუკუნის უდიდესი ამერიკელი პოეტია. მან თავისი დიდი წინამორბედის, უოლტ უიტმენის დარად გვიან მიაგნო ჭეშმარიტ მონოდებას. ლექსების პირველი კრებული „ჩიკაგო“ მხოლოდ 38 წლის ასაკში, 1916 წელს გამოაქვეყნა. უნდა აღინიშნოს, რომ სენდბერგის დებიუტი დაემთხვა ისეთი დიდი ამერიკელი პოეტების ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლას, როგორებიც იყვნენ ელიოტი, მასტერსი და ფროსტი. თითოეული მათგანის შემოქმედება ახალი ეტაპი იყო არამარტო ამერიკულ, არამედ მსოფლიო პოეზიაშიც. მათთან ერთად სენდბერგმა განავითარა XIX საუკუნის II ნახევარში უიტმენისა და ბოდლერის მიერ საძირკველჩაყრილი ურბანისტული პოეზიის ესთეტიკა. მისი ლექსები ჩამოჰკავს საგაზეთო სტატიებს, ქალაქის სიახლეების ქრონიკას, ისინი კინემატოგრაფიული, რეპორტაჟული ხასიათისაა, მაგრამ სწორედ ამ ყოფითობაში და თუ შეიძლება ითქვას, ქალაქის მტვერსა და ჭუჭყეში იბადება ახალი ლირიზმი, ახალი სიმბოლიკა — კონკრეტული და საგნობრივი და ამავდროს ზოგადი და მომცველი თავისი სიღრმისეულობით.

უოლეს სტივენსი

(1879 — 1955). სწავლობდა ჰარვარდის უნივერსიტეტში, სადაც გაეცნო ჯორჯ სანტაიანას ფილოსოფიას, რამაც გარკვეული გავლენა იქონია მომავალ პოეტზე. სხვადასხვა დროს მუშაობდა რეპორტიორად, ადვოკატად, 90-იანი წლების ბოლოდან სიცოცხლის ბოლომდე მსახურობდა ერთ-ერთ სადაზღვევო ფირმაში. სტივენსმა აღიარება მოიპოვა ათიან წლებში, როცა მისი ლექსების ბეჭდვა დაიწყო ჩიკაგოს ჟურნალმა „პოეტრი“. საკუთარი თავისადმი მეტად მომთხოვნი პოეტი დიდი ხანი მუშაობდა თითოეულ ლექსზე და 40 წლის განმავლობაში მხოლოდ 7 პოეტური კრებული გამოაქვეყნა. ყოველი მათგანის გამოსვლა ამერიკის ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა ხდებოდა. სტივენსს პოეტური შემოქმედების უმთავრეს მიზნად მიაჩნდა „უმაღლესი ფიქციის“ შექმნა — ანუ შექმნა განსაკუთრებული წარმოსახვითი, აბსტრაქტული სამყაროსი, რომელიც დაუპირისპირდებოდა ყოველდღიურობის „პროზას“. მისი რწმენით, „ღმერთების კვდომის“ ეპოქაში პოეზია — და საერთოდ ხელოვნება — უნდა გამხდარიყო „თანამედროვე რელიგია“. სტივენსი, აგრეთვე, ავტორია პოეზიის სიკითხებზე მრავალი კრიტიკული წერილისა და ესეის.

ედვარდ ესტლინგ კამინგსი

(1894-1962). კამინგსის პოეტურ ექსპერიმენტებში 10-20-იანი წლები ევროპული ავანგარდისტული სკოლების (ფუტურიზმი, დადაიზმი და სხვ.) გამოცდილება იგრძნობა. იგი ხშირად იყენებს ნეოლოგიზმებს, გრამატიკულ ნორმებს აცდენილ სინტაქსს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ლექსის გრაფიკას, მის ვიზუალურ მხარეს. ასე წერა მან ადრი-დანვე დაიწყო და I მსოფლიო ომის დროს საფრანგეთში, სამედიცინო კორპუსის რიგებში მოხალისედ მყოფი, უცნაური ორთოგრაფიით დაწერილი წერილების გამო შეიპყრეს და ჯაშუშობაში დასდეს ბრალი. სამი თვე ციხეში გაატარა და ციხის შთაბეჭდილებები საფუძველად დაედო მის ავტობიოგრაფიულ რომანს „უზომოდ დიდი კამერა“ (The Enormous Room, 1922)

ომის შემდეგ კამინგსი ცხოვრობდა პარიზში და ფერწერას სწავლობდა. თავის პოეტურ კრებულებში: „ტიტები და საკვამურები“ (Tulips and Chimneys, 1923), „და“ („&“, 1925), „XLI ლექსი“, (XLI Poems, 1925), „უდრის 5-ს“ (is 5, 1926) კამინგსი დაუნდობელია ბურჟუაზიისადმი, ცხოვრების ამერიკული წესისადმი, მტკივნეულად განიცდის „კაცარობრიობის“ მიერ სულიერი ფასეულობების გაბანკროტებას, და ყოველივე ამის შთამბეჭდავად გამოხატავს ახერხებს არა რეალისტური, არამედ ფორმალისტური მეთოდებით. იგი დღემდე რჩება ერთ-ერთ ყველაზე ორიგინალურ პოეტად ამერიკულ ლიტერატურაში.

ლენგსტონ ჰიუზი

ლენგსტონ ჰიუზი (1902-1963) ზანგი პოეტია. პირველი ლექსი დაბეჭდა 1921 წელს. ერთი წელი ისწავლა კოლუმბიის უნივერსიტეტში, შემდეგ მოეწყო მეზღვაურად. იცხოვრა პარიზში, შემდეგ იტალიაში. 1924 წელს დაბრუნდა ნიუ-იორკში და დაიწყო მუშაობა ერთ-ერთი სასტუმროს რესტორანში მიმტანად. ერთხელ რესტორანში შესულ სახელგანთქმულ ამერიკელ პოეტს, ვერელ ლინდსეის მენიუსთან ერთად თავისი ლექსებიც დაუდო. ლინდსეის ლექსები იმდენად მოეწონა, რომ ისინი იმ დღესვე წაიკითხა თავის პოეზიის საღამოზე. აქედან დაიწყო ჰიუზის აღმასვლა, რასაც ხელი შეუწყო ამერიკაში იმხანად გამეფებულმა „სავმა ბუმმაც“ ზანგ მომღერლებზე, მუსიკოსებზე, მოცეკვავეებზე და ა. შ. ჰიუზმა პირველივე წიგნით „დალლილი ბლუზები“ (1926), არამართო ამერიკის ყველაზე ნიჭიერ ზანგ პოეტად დაიმკვიდრა თავი, არამედ ახალი პოეტური ენისა და ფორმების შემოქმედანდაც იქცა. მის პოეზიაში მძლავრობს ორი ნაკადი.

ერთი, ამერიკული თავისუფალი ლექსის (უიტმენის და განსაკუთრებით, სენდბერგის ხაზი) და მეორე, ზანგური ფოლკლორის. ჰიუზის ბლუზები, სპირიტუელსები, ბალადები სწორედ ამ ზანგური სასიმღერო ტრადიციიდან მომდინარეობს. სიცოცხლის განმავლობაში ჰიუზმა 16 პოეტური კრებული გამოსცა. იგი არის აგრეთვე რომანისტი, დრამატურგი, ნოველისტი, კრიტიკოსი და მთარგმნელი. ენოდა ჟურნალისტურ საქმიანობას, ესპანეთში ომის დროს იყო კორესპონდენტი, მთელი ცხოვრების მანძილზე აქტიურად იბრძოდა ადამიანის უფლებების დაცვისათვის. დღეს იგი უკვე კლასიკად იქცა და დიდი ამერიკელი პოეტების რიგში თავისი მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა.

რობერტ კენ უორენი

(დაბ. 1905 წ.) 30-იან წლებში ჯონ კროუ რენსომთან და ალენ ტეიტთან ერთად გამოსცემდა ჟურნალს „Fugitives“ (ლტოლვილები), რომელიც აცხადებდა ქვეყნის სამხრეთის განსაკუთრებულობის იდეას და ქმნიდა ე. წ. „სამხრეთის მითს“. შემდგომში უორენი ამ პოზიციას მთლიანად გაემიჯნა. არის ათზე მეტი პოეტური კრებულის ავტორი. ცნობილია როგორც რომანისტი და კრიტიკოსი. როგორც პროზაში, ასევე პოეზიაში მიღებული აქვს პულიცერის პრემია.

რენდალ ჯარელი

(1914 — 1965). პოეტი, კრიტიკოსი, პედაგოგი. მეორე მსოფლიო ომის დროს მსახურობდა ავიაციაში, რამაც დიდი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე. იგი მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდა „სამხრეთის სკოლის“ (ჯ. ქ. რენსომი, ა. ტეიტი, რ. პ. უორენი) წარმომადგენლებთან და მათსავით წინააღმდეგი იყო თანამედროვე პოეზიაში უფორმოებისა და სუბიექტივიზმის. მისი პირველი კრებულებისთვის დამახასიათებელია ადამიანის ბუნების მკვეთრი დაპირისპირება აბსტრაქტულ პრინციპებთან, რომლებიც, მისი აზრით, ხორცშესხმულია სახელმწიფოსა და მის დანესებულებებში. განსაკუთრებული სიცხადით ეს წარმოჩნდა ომის თემაზე შექმნილ ლექსებში, რომლებიც თავმოყრილია კრებულებში: „მეგობარო, მეგობარო!“ (Little Friend, Little Friend! 1945) და (Losses. 1948).

გვინდოლინ ბრუსი

(დაბ. 1917). ზანგი პოეტი ქალი. პირველი წარმატება მოუტანა კრებულმა „ქუჩა ბრონზევილში“ (1945), რომლის გმირებს ღარიბული ზანგური კვარტლების მაცხოვრებლები წარმოადგენენ. 1949 წელს წიგნისათვის „ენი ელენ“ მიიღო პულიცერის პრემია, ხოლო 1968 წელს მიენიჭა ილინოსისის შტატის საპატიო პოეტ-ლაურეატის ნოდება (აღრე ამ ნოდებას სიცოცხლის ბოლომდე ფლობდა კარლ სენდბერგი). ბრუსის პოეზიისათვის დამახასიათებელია მუსიკალობა, დიალექტების სიუხვე და ამასთანავე ლექსის მკაცრი ფორმალური ორგანიზაცია, რაც მის მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს.

დენის ლევერტოვი

დაიბადა 1923 წელს ინგლისში. 1946 წელს იქვე გამოსცა პირველი პოეტური კრებული. 1947 წელს ცოლად გაყვა ამერიკელს და ამერიკაში გადასახლდა. ლევერტოვი „შავი მთის სკოლის“ ესთეტიკის ძლიერ გავლენას განიცდიდა და ამ სკოლის სხვა წარმომადგენელთა მსგავსად გატაცებული იყო უ. კ. უილიამსის შემოქმედებით. 60-იან წლებში ანტისკომარო მოძრაობის აქტიური წევრი იყო, რამაც სოციალური თემატიკით მისი ამ პერიოდის შემოქმედების დატვირთვა გამოიწვია. 70-იან წლებში ლევერტოვი კვლავ დაუბრუნდა ადრეული ლირიკის თემებს — ადამიანური ყოფის მარადიულ, ფილოსოფიურ პრობლემებს.

სილვია პლათი

სილვია პლათი XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული პოეტია როგორც თავისი შემოქმედებით, ისე ცხოვრებითა და ბედისწერით. დაიბადა 1932 წელს ბოსტონში. იზრდებოდა ავსტრიელი ემიგრანტის, ცნობილი ენტომოლოგის — ოტო პლათის ოჯახში. წარმომავლობამ მის ფსიქიკას გარკვეული დაღი დაასვა, გაუმძაფრა ის საპროტესტო განწყობილება მამათა თაობის მიმართ, რომლითაც გაჯერებული იყო 50-იანი წლების ახალგაზრდობა. მამათა თაობას ისინი ადანაშაულებდნენ ფაშიზმში, მაკარტიზმის პერიოდის იდეოლოგიურ შეუწყნარებლობაში... ეს ყველაფერი აირეკლა პლათის ბევრ ლექსში, რის გამოც ხშირად მის პოეზიას იმ პერიოდის ყველაზე მემობოხე პოეტების — ბიტნიკების — შემოქმედების გვერდით აყენებენ

ხოლმე, თუმცა უნდა ითქვას, რომ ბიტიკებისაგან განსხვავებით, იგი შორსაა დეკლარაციულობისა და მებრძოლი პათოსისაგან, არ ახასიათებს რეფრენულობა და მალალი რიტმი — მისი ლექსები უფრო კომპარულ და ამავე დროს უალრესად სათუთ ზმანებებს წააგვანან, რომელთაც პოეტი თითქოს საკუთარი თავიდან სდევნის. პლათის პოეზიის ერთ-ერთი მთავარი გამოსაცნობი ნიშანი ამბივალენტურობაა. შემზარავი სახეები და უმნეობის განცდა ხშირად წარმოუდგენელი სიმყუდროვითა და სიმშვიდით, წარმოუდგენლად ფაქიზი ინტონაციებითაა გადმოცემული და სწორედ ეს ბიპოლარობა ქმნის დაძაბულობის ველს მის ლექსებში.

სილვია პლათმა სიცოცხლეში ლექსების მხოლოდ ერთი კრებული გამოსცა — „კოლოსი“ (The Colossus, 1962). ის იყო ცნობილი ამერიკელი პოეტის, რობერტ ლოუელის მონაფე, 1956 წელს, როგორც ფულბრაიტის სტიპენდიანტი, კემბრიჯს გაემგზავრა, სადაც გაიცნო ინგლისელი პოეტი ტედ პიუზი, იქორწინა მასთან და დარჩა ინგლისში. ინგლისში კიდევ უფრო გაუმძაფრდა გაუცხოების, ტრაგიკულობის განცდა, ფსიქიკა მეტისმეტად არამყარი გაუხდა. მეუღლეები ერთმანეთს დაშორდნენ და 1963 წლის 11 თებერვალს, ლონდონში, სილვია პლათმა თავი მოიკლა. მხოლოდ ამის შემდეგ, ტედ პიუზის რედაქციით გამოვიდა მისი საუკეთესო კრებულები „არიელი“ (Ariel, 1965), „წყლის გადაკვეთისას“ (Crossing the Water, 1971) და „ზამთრის ხეები“ (Winter Trees, 1972). პლათის ლექსების სრული კრებული გამოიცა 1981 წელს და პულიცერის პრემიით აღინიშნა. იგი ავტორია აგრეთვე რომანისა „ზარი-ქოთანი“ (The Bell Jar, 1963), ხოლო მის არქივში დარჩენილმა ნოველებმა და დღიურის ფრაგმენტებმა შეადგინა კრებული „პანიკა ჯონი და სიზმრების ბიბლია“ (Hohnny Panic and Bible of Dreams, 1978).

ალან გინსბერგი

დაიბადა 1926 წელს, ნიუარკში, პოეტის ოჯახში. სწავლობდა კოლუმბიის უნივერსიტეტში, საიდანაც გარიცხეს, თუმც შემდგომ მაინც დაამთავრა იგი და 1948 წელს მიიღო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის წოდება. პოეზიაში მის მასწავლებლებად ითვლებიან უილიამ კარლოს უილიამსი და კენეტ რექსროდი. 1955 წელს პარიზში გამოვიდა გინსბერგის პირველი კრებული „ყმუილი და სხვა ლექსები“, რომელმაც მაშინვე მოუპოვა აღიარება. მომდევნო წელს კრებულის მეორე გამოცემა სან-ფრანცისკოში აიკრძალა, რადგან უხამს ლიტერატურად იქნა მიჩნეული. გინზბერგი „ყმუილის“ გამოსვლისთანავე

იქცა ე. წ. სან-ფრანცისკოს რენესანსისა და ბიტ-მოძრაობის („ბიტ“ — ნიშნავს გატეხილს, დამსხვრეულს) ლიდერად. როგორც ამ მოძრაობის ერთ-ერთი ვეტერანი, ჯონ კლენონ პოლმსი აღნიშნავს, ბიტნიკები გაჩნდნენ სამი ომის გადაკვეთაზე. ეს იყო მაკარტიზმი ანუ პოლიციური ომი, ცივი ომი და ომი კორეაში. „ყმ-უილი“ ფაქტიურად წარმოადგენს პოეტურ მანიფესტს; მასში არეკლილია ის სოციოკულტურული გარემო, რომელშიც უწევდა არსებობა ამ თაობას. ბიტნიკების ანარქიზმი ერთმანეთს უთავსებდა პაციფიზმს, მისტიციზმს, აღმოსავლურ რელიგიურ სკოლებს (განსაკუთრებით ძენ-ბუდიზმს), სექსუალურ შეუზღუდაობას, გატაცებას ნარკოტიკებით და ა. შ. უნდა აღინიშნოს ორი პოეტური ტრადიცია, რომელთა სინთეზიც ქმნის „ყმ-უილისა“ და საერთოდ, გინსბერგის პოეზიის განუმეორებელ სახეს. ერთი საკუთრივ ამერიკული პოეზიის წიაღიდან მომდინარეობს და უიტმენის ხაზს უკავშირდება, ხოლო მეორე ფრანგული სიურრეალიზმის ორიგინალურ გააზრებას წარმოადგენს. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია აგრეთვე ბლეიკის პოეზიამ. გინსბერგი იყო ადამიანის უფლებებისათვის აქტიურად მებრძოლი ადამიანი. 1985 წელს მან იმოგზაურა საბჭოთა კავშირში და იმყოფებოდა თბილისშიც. ალენ გინსბერგი გარდაიცვალა 1997 წელს.

ლორენს შერლინგატი

დაიბადა 1919 წელს. იტალიელი ემიგრანტის მეხუთე ვაჟია. ადრევე დაობლდა და 5 წელი გაატარა საფრანგეთში, შორეულ ნათესავთან. ინგლისურად საერთოდ ველარ ლაპარაკობდა. შემდეგ დაბრუნდა ამერიკაში, მეორე მსოფლიო ომის დროს მსახურობდა ფლოტში, შემდეგ კი სწავლობდა ლიტერატურას კოლუმბიისა და სორბონის უნივერსიტეტებში. 1950 წლიდან საცხოვრებლად გადადის სან-ფრანცისკოში. 1953 წელს ხსნის ცნობილ მაღაზიას City Lights და იწყებს „პოეტთა ჯიბის ბიბლიოთეკის“ გამოცემას. სერია გახსნა საკუთარი პირველი წიგნით „გამქრალი სამყაროს სურათები“ (1955). შემდგომ წლებში ამ სერიით გამოდიოდა მისი მეგობრების, ბიტნიკების — გინსბერგის, კერუაქის, კორსოს წიგნები, აგრეთვე მათთან ახლოს მდგომი უფროსი თაობის პოეტების: უ. კ. უილიამსის, კ. რექსროდის, კ. პეტჩენის კრებულები. ფერლინგეტის საგამომცემლო საქმიანობამ უდიდესი როლი შეასრულა ამერიკული პოეზიის განახლებაში. თავის პოეზიაში ფერლინგეტი ცდილობს ხელოვნების სხვადასხვა დარგების — ფერწერის (მასზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა 50-იანი წლების აბსტრაქტულმა ექსპრესიონიზმმა), კინოს, მუსიკის სინთეზირებას. ბიტნიკების თაობიდან იგი ერთადერთია, რომელმაც XXI საუკუნეში ცოცხალმა შეაბიჯა.

სარჩევი

რამდენიმე სიტყვა ტელეგრაფის ქუჩიდან	5
ედგარ ალან პო	
ანაბელ ლი	9
ედგარ ლი მასტერსი	
გორაკი	11
ბენჟამინ პანტიერი	13
მისის ბენჟამინ პანტიერი	14
კარლ სენდბერგი	
ბალახი	15
ველური ვაშლის ყვავილის ფურცლები	16
ბავშვური სათამაშოები	17
ვარსკვლავები, სიმღერები, სახეები	17
ქუდები	18
პერანგი	18
ლამის ნიუ-იორკი	19
ლუქსი	19
მკვლევები	20
სამ-სამი	21
უოლეს სტივენსი	
შაშვის ცამეტნაირი ხედვა	22
ედვარდ ესტლინ კამინგსი	
* * *არ თანაუგრძნო ამ საქმოსან მონსტრს	25
ლენგსტონ ჰიუზი	
პროლოგი	26
შავი პიერო	27
ოცნებები	27
პარლემის ლამის სიმღერა	28
ოცნებების შემნახველი	28
თვითმკვლელობა	29

ხელიდან წასული კაცი	30
ნოსტალგიური ბლუზი	31
ჯიბეგაფხეკილი ბიჭის ბლუზი	32
ყმანვილი ქალის ბლუზი	33
ჰაეროვანი ბლუზი საღამოთი	34
ზაფხულის ღამე	35
სიცოცხლე მშვენიერია	36
მეზღვაური	37
სპილენძის საფურთხებლები	38
აბრეშუმის წითელი წინდები	39
ბალადა ოზი პაუელზე	40
ბილეთი ცალ მხარეს	42
დედა და ქალიშვილი	43
ჯოი	44
ზანგი გოგონა	45
აპრილის წვიმის სიმღერა	45
კანის ფერი	46
ჩემი ხალხი	46
ეპილოგი	47
რობერტ პენ უორენი	
გამრავლების ტაბულა	48
რენდალ ჯარელი	
მფრინავ-არტილერიისტის სიკვდილი	50
გვენდოლინ ბრუკსი	
ცერცვისმჭამელნი	51
დენის ლევერტოვი	
მარტოობა	52
სილვია პლათი	
ტიტები	55
ზამთრის ხეები	58
დილის სიმღერა	59

კუდიანი კოცონზე	60
ყაყაჩოები ოქტომბერში	61
მიუნხენური მანეკენები	62
წყლის გადაკვეთისას	63
ჭრილობა	64
ალენ გინსბერგი	
ყმუილი	66
მზესუმზირას სუტრა	81
მეოთხე სართული, ალიონი, წერილების წერაში	
გატარებული ღამის შემდეგ	84
სასიყვარულო ლექსი უიტმენის თემაზე	85
რეალობის მეორე მხარეს	86
შავი კაცი	87
ფსალმუნი 3	88
ლორენს ფერლინგეტი	
** *მუდამ აბსურდულობისა და სიკვდილის	89
** *იაფი ტკბილეულობის რკინიგზისიქითა მაღაზიაში	90
ავტორთა შესახებ	91